პროლეტარიელებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 151 (26492) — შაბათი, 1 ივლისი, 1989 წელი. — ფასი 3 კაპ.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პირველი სესია

29 ივნისს მოსკოვში, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მ. ს. გორბაჩოვის თავმჯდომარეობით სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პირველმა სესიამ მუშაობა განაგრძო.

სხდომის გახსნისას, **მ. ს. გორბაჩოვმა** განმარტა პროცედურული საკითხები. ზოგიერთ დეპუტატს მიაჩნია, თქვა მან, რომ მთავრობის შემადგენლობაში კანდიდატურების განხილვა გაჭიანურებულია, მრავალი ორატორი ერთი და იგივეს იმეორებს. დეპუტატები გვთავაზობენ, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის პოსტზე კანდიდატურები განვიხილოთ ისე, როგორც უკვე ჩამოყალიბდა პრაქტიკულად, მინისტრთა პოსტებზე კანდიდატურების გამო კი მოვიხმინოთ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს შესაბამის კომიტეტთა თავმჯდომარეების ცნობები. ეს, რა თქმა უნდა, არ გამორიცხავს, რომ საჭიროების შემთხვევაში მინისტრთა პოსტებზე დასახელებულ კანდიდატებს შეიძლება მიეცეთ კითხვები მნიშვნელოვან და აქტუალურ პრობლემებზე, რათა უფრო გარკვევით გამოვკვეთოთ კანდიდატის პოზიციაც და სიტუაციაც იმ სფეროში, რომელშიც იგი მუშაობს.

ასე არის წინადადება სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ, მინისტრთა საბჭოს სოციალური განვითარების ბიუროს თავმჯდომარედ დაინიშნოს ა. პ. ბირიუკოვა.

ა. პ. ბირიუკოვამ კითხვებზე პასუხის გაცემისას ილაპარაკა საპენსიო უზრუნველყოფის შესახებ ახალი კანონის მომზადებაზე, კანდიდატმა აღნიშნა, რომ ჯერ კიდევ მიმდინარე წელს კანონს წარუდგენენ უმაღლეს საბჭოს და გამოიტანენ სრულიად სახალხო განხილვისათვის. ხაზგასმით აღინიშნა, რომ იგი სოციალურად სამართლიანი უნდა იყოს ყველა კატეგორიის პენსიონერისადმი, იმის მიუხედავად, რამელ წელს გავიდნენ ისინი პენსიაში. იგი აგრეთვე დაეთანხმა იმ აზრს, რომ უნდა გაფართოვდეს პროფესიების ნუსხა, სადაც შესაძლებელი იქნება გაუქმდეს პენსიონერებისათვის ხელფასის ზღვარი.

ა. პ. ბირიუკოვამ დადებითად შეაფასა წინადადება, რომ მსუბუქი მრეწველობის საწარმოთა პატარა ფილიალები შეიქმნას ტყიკეკეთის მთელ რიგ რაიონებში და ზოგიერთ სხვა რეგიონში, სადაც ჭარბი მუშახელია. ეს, თქვა მან, საშუალებას მოგცემს აგრეთვე გავზარდოთ სახალხო მოხმარების საქონლის გამოშვება.

კანდიდატმა საჭიროდ მიიჩნია შემუშავდეს ქალთა მდგომარეობის გაუმჯობესების სახელმწიფო პროგრამა, რომელიც შეეხება მათი ცხოვრების ყველა მხარეს. თქვა, რომ სკკპ XXVII ყრილობისა და XIX პარტკონფერენციის დავალებით საკავშირო პროფსაბჭო ამზადებს კანონს, რომელიც ზრდის წლის შვებულების ხანგრძლივობას, უწინარეს ყოვლისა ქალებისათვის. მაგრამ ამისათვის, ხაზგასმით აღნიშნა კანდიდატმა, ჩვენ ყველამ კარგად უნდა ვიმუშაოთ.

დაძაბული ძალისხმევაა საჭირო ჯანმრთელობის დაცვის აღმავლობისათვის. უნდა მოგხსნათ ყველა შეზღუდვა, რომლებიც უწყებებსა და საწარმოებს უკრძალავენ თავიანთი სახსრებით კურორტებისა და პროფილაქტორიუმების აშენებას. მან შემდეგ თქვა, რომ უკვე მიღებულია გადაწყვეტილებანი ქვეყანაში შეიქმნას ნოვატორი ექიმების ს. ნ. ფიოდოროვის, ზ. ა. ილიზაროვის, ნ. ა. კასიანის მეთოდიკებით მომუშავე კლინიკების განშტოებული ქსელი.

სხდომის თავმჯდომარე წინადადებას აყენებს განსაზღვროს სსრ კავშირის მთავრობის შემადგენლობაში კანდიდატურების განხილვის რეგლამენტი.

დეპუტატები იღებენ გადაწყვეტილებას, კანდიდატურების განხილვას დაეთმოს 45 წუთი.

უპასუხა რა კითხვებს, კანდიდატმა ილაპარაკა იმის შესახებ, რომ უნდა გამოქვეყნდეს ფიზიკულტურისა და სპორტისათვის ასიგნებათა მოცულობა. თქვა, რომ წელს ასიგნებანი შეადგენს 2,9 მილიარდ მანეთს, ამ თანხის თითქმის ნახევარი მოდის საკავშირო და რესპუბლიკურ სახელმწიფო ბიუჯეტებზე.

შემდეგ დაიწყო ა. პ. ბირიუკოვას კანდიდატურის განხილვა.

დეპუტატმა **გ. ნ. კახლევამ** აღნიშნა მისი საუკეთესო საქმიანი თვისებები. მისი აზრით, ბირიუკოვა ადგას აქტიურ პოზიციას გარდაქმნაში, უურადღებიანია ადამიანების საჭიროებებისადმი, სიტყვის შემსრულებელია.

კომისიებსა და კომიტეტებში ალექსანდრა პავლეს ასულის კანდიდატურის განხილვისას ბევრმა დეპუტატმა, თქვა ორატორმა, დასვა საკითხი იმის შესახებ, მეტისმეტად ბევრი დარგი და სფერო ხომ არ ეკისრება სოციალური განვითარების ბიუროს. ალბათ ძნელია ამას არ დეთანხმო, გამოიტანა დასკვნა დეპუტატმა. მან გამოთქვა მოსაზრება იმის შესახებ, რომ ამ ბიუროს შემადგენლობაში შეიქმნას დამოუკიდებელი ქვედანაყოფი, რომელიც ხელს მოუკიდებს ადამიანის ცხოველმოქმედების სულიერ, ჰუმანიტარულ სფეროს.

მაღალ სახელმწიფო პოსტზე პრეტენდენტის კომპეტენციაში შემავალ მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის პრობლემებს შეეხო დეპუტატი **ვ. ი. სემუხა.** მისი აზრით, მხედველობიდან ვუშვებთ მთავარ საკითხს: როგორ მკურნალობენ ჩვენში ადამიანებს. მან დაწვრილებით ილაპარაკა იმაზე, რომ ყოველივე საჭიროთი უნდა უზრუნველყოთ ჯანმრთელობის დაცვის სისტემა. ერის ჯანმრთელობისათვის, განაცხადა ორატორმა, ფული არ უნდა დავინანოთ, რადგან შრომის ნაყოფიერების ზრდას, ახლა ჩვენს წინაშე წამოჭრილი ეკონომიკური პრობლემების წარმატებით გადაწყვეტას შეძლებენ მხოლოდ ჯანმრთელი ადამიანები. დეპუტატმა აღნიშნა სამედიცინო დაწესებულებათა მუშაობაში არსებული ისეთი ნაკლოვანებანი, როგორიც არის უწინარეს ყოვლისა დიაგნოსტიკური მოწყობილობის ნაკლებობა, წამლების უმწვავესი დეფიციტი. დეპუტატის წინადადება: თუნდაც 500 მილიონი სავალუტო მანეთი გამოიყოს საზღვარგარეთ მედიკამენტების სწრაფად შესყიდვისათვის.

დეპუტატმა **ა. ი. ნეუმივაკინმა** კმაყოფილებით აღნიშნა, რომ მთავრობის სტრუქტურაში გთვალისწინებულია ორგანო, რომელიც იმუშავებს სოციალურ საკითხებზე. კარგია, რომ სოციალური განვითარების ბიუროს სათავეში უდგას ა. პ. ბირიუკოვა, რომელიც ფორმალურად როდი ეკიდება ამ პრობლემებს. აღნიშნა რა, რომ ინვალიდთა ინტერესები არ არის კერძო საკითხი, ორატორმა რამდენიმე სურვილი გამოთქვა მთავრობის მიმართ. კერძოდ, ითხოვა უურადღება მიექცეს პენსიების ოდენობას, არ იქნეს დავიწყებული ბავშვობიდანვე ინვალიდები. მნიშვნელოვან საკითხებს წარმოადგენს ინვალიდების სამუშაოთი უზრუნველყოფა, მათთვის წარმოების ორგანიზაცია. ახლა ბევრმა ინვალიდმა დაკარგა სამუშაო. ორატორმა წინადადება წამოაყენა გაუქმდეს აგრეთვე ინვალიდების ორგანიზაციის საშემოსავლო გადასახადი, მიეცეთ მათ საშუალება თავიანთ განკარგულებაში დაიტოვონ საკუთარი გამომუშავებული სახსრები.

ისარგებლა რა სათათბირო ხმის უფლებით, სახალხო დეპუტატმა **რ. ლ. ტენმა** ითხოვა, მხარი დაუჭირონ ა. პ. ბირიუკოვას კანდიდატურას. ორატორმა აღნიშნა, რომ მსუბუქი მრეწველობა ყველაზე დაუცავი დარგია სოციალური თვალსაზრისით სოფლის მეურნეობის შემდეგ. მან უურადღება მიაპყრო იმას, რომ საჭიროა წარმოების ტექნიკური განახლება, ქალების შრომის პირობების შეცვლა. ორატორმა თქვა აგრეთვე, რომ ეკონომიკური რეგიონული ურთიერთობა ერთ რგოლში უნდა განვიხილოთ.

ვიმეორებთან, თქვა დეპუტატმა **ზ. პ. პუნოვამ,** რომ ა. პ. ბირიუკოვას მიერ დასახული საინტერესო, დამრაზვიელი სამოქმედო პროგრამა ხელს შეუწყობს ქალების შრომასა და ყოფასთან დაკავშირებული რთული საკითხების გადაწყვეტას. მათგან ყველაზე მთავარია, რაც შეიძლება სწრაფად გამოვიყვანოთ ქალები ღამის ცვლებიდან. ორატორმა, რომელმაც დაიმოწმა სოციალისტური ქვეყნების მაგალითები, ილაპარაკა იმის შესახებ, რომ ქალებს ბავშვის მოვლისათვის უნდა მიეცეთ შვებულება 3 წლამდე, აღნიშნა ქალების სხვა პრობლემები, რომლებიც სასწრაფოდ უნდა გადაიჭრას.

დეპუტატმა **რ. ა. უბაიდულაევამ** მხარი დაუჭირა ა. პ. ბირიუკოვას დანიშვნას სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის პოსტზე. შეეხო რა ქალთა შრომის დაცვის პრობლემას, რომელიც დღეს მწვავედ დგას, ორატორმა მოიყვანა ასეთი ფაქტები: საფეიქრო მრეწველობაში 4 მილიონი ქალი მუშაობს სამუშაო ადგილებზე, რომლებიც არ შეესაბამება შრომის დაცვის მოთხოვნებსა და ნორმებს. 400 ათასი ქალი დასაქმეშულია მძიმე ფიზიკური შრომით — 35 მილიონი. დადგა დრო, დეპუტატის აზრით, ვიფიქროთ ქალის შრომის დაცვის კანონზე და იმაზე, რომ მსუბუქ მრეწველობაში მივიზიდოთ მეტი მამაკაცი, ყოველ შემთხვევაში ღამის ცვლებში.

დეპუტატმა **ვ. ნ. სტეპანოვამ** უურადღება მიიპყრო ჯანმრთელობის დაცვის სისტემის მატერიალური უზრუნველყოფის ზოგიერთ კონკრეტულ საკითხს. მისი შეხედულებით, ამ დარგში არ უნდა იყოს ეგრეთ წოდებული წვრილმანები. ორატორმა ილაპარაკა იმაზე, რომ განვიცდით უმაღლესი სამედიცინო პერსონალის ნაკლებობას დაბალ ხელფასისა, ღამის ცვლების გამო.

კამათი წყდება.

ხმათა უმრავლესობით დეპუტატები **ა. ვ. ბირიუკოვას** ნიშნავენ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ.

შემდეგ სხდომაზე განიხილა დისკუსია პროცედურული საკითხების გამო.

მისი შედეგები შეაჯამა **მ. ს. გორბაჩოვმა.**

მან მხარი დაუჭირა დეპუტატთა წინადადებას, დამყარდეს მუშაობის ისეთი წესრიგი, რომლის დროსაც კანდიდატებისათვის კითხვები მომზადდება წინასწარ და გადაეცემა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პალატების თავმჯდომარეებს, შემდეგ კი მთავრობის წევრობის კანდიდატებს. კანდიდატებს ექნებათ საშუალება დაჯგუფონ კითხვები, საგულდაგულოდ მოიფიქრონ პასუხი.

და მეორე: რადგან კანდიდატურებს გულდასმით იხილავენ კომიტეტებსა და კომისიებში, შემდეგ კი განსახილველად გამოაქვთ უმაღლეს საბჭოში, მიზანშეწონილია სესიაზე განხილვის დროს მთავარი უურადღება დაეთმოს კონკრეტულ წინადადებებს და შენიშვნებს, უარი ვთქვათ მათს ქება-დიდებაზე.

შემოდის წინადადება სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ, მინისტრთა საბჭოს ქიმიურ-სატყეო კომპლექსის ბიუროს თავმჯდომარედ დაინიშნოს ვ. კ. გუსევი.

დეპუტატთა კითხვებზე პასუხის გასაცემად სიტყვა ეძლევა **ვ. კ. გუსევს.** მან მოკლედ ჩამოაყალიბა პროგრამის ძირითადი მიმართულებანი, რომლებიც უზრუნველყოფს ქვეყნის ქიმიურ-სატყეო კომპლექსის წინაშე მდგომი ამოცანების შესრულებას. მის განვითარებაზე, აღნიშნა კანდიდატმა, დამოკიდებულია ქვეყნის სახალხო მეურნეობის ყველა დარგში მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის შემდგომი ბედი, აგრეთვე წამლებით, ტანსაცმლით, სასურსათო პროდუქტებით თითოეული ადამიანის დაკმაყოფილება, მასობრივი მოსპობის იარაღისაგან დაცვა.

ამ ბოლო დროს წარმოიშვა განსაკუთრებული სირთულეები გამწვავებულ ეკოლოგიურ სიტუაციასთან დაკავშირებით, თქვა მან შემდეგ. გარემოსა და ადამიანებზე წარმოების მავნე ზემოქმედების ლიკვიდაციის საკითხის გადაუჭრელად დარგის პერსპექტიული განვითარება და მიმდინარე მუშაობა პრაქტიკულად შეუძლებელია. ამიტომაც ჩვენს პროგრამაში პირველი რიგის მიმართულებაა ახალი უნარჩენო ტექნოლოგიების გამოყენებით კომპლექსის თითოეული საწარმოს ძირეული რეკონსტრუქციის საფუძველზე ეკოლოგიური ვითარების მნიშვნელოვანი გაუჯობესება. ეს გათვალისწინებულია განხორციელდეს 1990-1995 წლებში. მეცამეტე ხუთწლედში რეკონსტრუქციის კომბინატებზე კაპიტალდაბანდებათა 85 პროცენტი მიმდინარე ხუთწლედის 47 პროცენტთან შედარებით.

უნდა დაკავმაყოფილოთ სახალხო მეურნეობისა და ფართო ბაზრის მოთხოვნილებანი ქიმიურ-სატყეო კომპლექსის ძირითად პროდუქტებზე. ვაპირებთ მომავალ ხუთწლედში მოვსპოთ ქიმიური ბოჭკოს, საღებავების, სალტეების, ავეჯის, წამლების, კონსტრუქციული პლასტმასების, დიდძალი ნაკეთობპროდუქტების დეფიციტი. ეს განხორციელდება უწინარეს ყოვლისა ახალი ტექნოლოგიური პროცესის დანერგვის საფუძველზე.

რამდენიმე სიტყვა მტკივნეულ პრობლემებზე, რომლებიც დეპუტატთა გამოსვლებში გაისმა. იმედი გვაქვს, თქვა ორატორმა, რომ სარეცხი საშუალებების პრობლემა მიმდინარე წლის მესამე კვირტალში მოიხსნება, შემდეგ კი გათვალისწინებული გვაქვს არ დაუშვათ ასეთი სიტუაციის განმეორება სარეზერვო სიმძლავრეების ამოქმედების გზით. ჩვენი გამოანგარიშებით, დაგვჭირდება ორი წელი, რათა მთლიანად დავაკმაყოფილოთ მოთხოვნილებანი ერთჯერად შპრიცებზე, ხოლო წლეულს ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულებებს მივაწოდებთ სულ ცოტა 500 მილიონ ცალ ასეთ შპრიცს.

ჩვენ მოვალენი ვართ, აღნიშნა კანდიდატმა, უზრუნველყოთ სოციალური პროგრესის ყველა სახელმწიფო პროგრამის შესრულება, მაგრამ განსაკუთრებული უურადღება მიექცევა ხე-ტყის დამამზადებელთა დაბებს, რომლებიც ცუდ მდგომარეობაშია.

ჩამოაყალიბა რა თავისი პოზიცია უმნიშვნელოვანესი სახალხოსამეურნეო კომპლექსის პრობლემებზე, ვ. კ. გუსევმა უპასუხა დეპუტატთა კითხვებზე.

შეაჯამა რა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის პოსტზე თავისი სამი წლის საქმიანობის შედეგები, ვ. კ. გუსევმა აღნიშნა, რომ კომპლექსმა შეასრულა ტექნიკურ-ეკონომიკური გეგმები და ქვეყნის სახალხო მეურნეობის ქიმიზაციის პროგრამა, რომ სწრაფია შრომის ნაყოფიერების ზრდის ტემპი, დაიწყო მეტწილ წარმოებათა ძირეული მოდერნიზაცია. მაგრამ ამავე დროს მრავალ სახეობათა პროდუქციის დეფიციტი, რაგინდ პარადოქსულიც იყოს, იზრდება. ამიტომ, თქვა კანდიდატმა, პირადად მე კმაყოფილი ვარ ჩემი მუშაობით, ქიმიურ-სატყეო კომპლექსის საქმიანობის შედეგებით.

ორატორმა ილაპარაკა ქვეყნის მთელ რიგ სამრეწველო რაიონებში ეკოლოგიური ვითარების გაუმჯობესების ღონისძიებებზე.

კანდიდატმა უარყო აზრი, რომ მიზანშეწონილია ხე-ტყის მრეწველობის სამინისტროსა და ტყის სახელმწიფო კომიტეტის გაერთიანება, და ეს იმით დასაბუთა, რომ ხე-ტყის დამზადებაში მონაწილეობს 22 უწყება და საჭიროა ხედამხედველობითი, მაკოორდინირებელი ორგანო, რომელიც ხელს შეუშლიდა ტყის მასივების მტაცებლურ ჭრას. დაეთანხმა რა იმას, რომ მკვეთრად უნდა გაიზარდოს ქაღალდის წარმოება, რომელიც „საზოგადოების სულიერი პურია“, მან ჩამოაყალიბა არსებული სიმძლავრეების რეკონსტრუქციის ხარჯზე პერიოდიკისა და წიგნის გამოცემის საჭიროებებისათვის ქაღალდის გამოშვების გაორკეცების პროგრამა.

ვ. კ. გუსევი დაეთანხმა მწვავე კრიტიკას ხე-ტყის მრეწველობის სამინისტროს სისტემაში უყაირათობის ფაქტების გამო და ისინი ახსნა შრომის სუსტი ორგანიზაციით, ტრანსპორტის პრობლემებით.

თავმჯდომარემ **ა. ი. ლუკიანოვამ** გამოაცხადა, რომ ვ. კ. გუსევის კანდიდატურას მხარი დაუჭირა განხილვაში მონაწილე კომისიების წევრთა ნახევარზე ნაკლებმა. კომისიებს აქვთ შენიშვნები, რომლებიც უნდა ეცნობოს სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოს.

დეპუტატმა, რომელმაც თავი არ დაასახელა, აღნიშნა, რომ კომისიებში გაიმართა სერიოზული სჯა-ბაასი წარმოდგენილი კანდიდატურის გამო, მან თქვა, რომ კომპლექსი, რომელსაც ვ. კ. გუსევი ხელმძღვანელობს, ამ ბოლო დროს არადამაკმაყოფილებად მუშაობს სახალხო მოხმარებად საქონლით ქვეყნის მოსახლეობის უზრუნველყოფისათვის. განსაკუთრებით დიდ შეშფოთებას იწვევს ის, რომ კვლავ ჭუჭყიანდება გარემო. ჩვენ ძალზე საფუძვლიანად განვიხილეთ ეს კანდიდატურა, თქვა შემდეგ ორატორმა, და გავითვალისწინეთ, რომ ამხანაგ გუსევს აქვს კომპეტენტურობა, ღრმა ცოდნა ქიმიურ-სატყეო კომპლექსის დარგში. ხოლო დარგში შექმნილი მდგომარეობისათვის, დეპუტატის აზრით, ბრალი მიუძღვით მის წინა ხელმძღვანელებს. ორატორმა წინადადება წამოაყენა დაამტკიცონ ვ. კ. გუსევის კანდიდატურა.

მიმართა რა პრეტენდენტს, დეპუტატმა **ვ. ს. შევჩენკომ** თქვა, რომ სახალხო დეპუტატები დღეს არა მარტო წარმოადგენენ ამა თუ იმ დარგს, ისინი სახელმწიფო მოღვაწეები არიან და ესმით, რომ ქვეყანას სჭირდება საქონელი. განსახილველი კომპლექსის საწარმოთა დახურვის გზით ვერ ვივლით. მაგრამ არ შეიძლება სასწორზე შევაგდოთ აგრეთვე ადამიანთა ჯანმრთელობა და სიცოცხლე. ამასთან დაკავშირებით დეპუტატმა ვ. გუსევს მოუწოდა გამოიჩინოს მეტი სიმტკიცე და მომთხოვნელობა მისი საქვეუწყებო სამსახურების მუშაობისადმი. უკრაინაში გადამმუშავებელი კომპლექსების მაგალითზე მან ცხადყო, რომ მიღებული დადგენილებანი ბოლომდე არ სრულდება.

დეპუტატმა **ი. კ. ზარიპოვმა** გამოთქვა შეშფოთება ბაშკირეთში ეკოლოგიური ვითარების მდგომარეობის გამო. მან განაცხადა, რომ ავტონომიურ რესპუბლიკაში პატარა ტერიტორიებზე თავმოყრილია ქიმიური მრეწველობის მსხვილი საწარმოები. მიუხედავად ამისა, არის ახალი საწარმოების შექმნის ტენდენცია. ორატორმა უურადღება დაუთმო აგრეთვე სერიოზულ გარღვევას მსხვილ წარმოებასა და ადამიანთა სუსტ სოციალურ უზრუნველყოფას შორის. უმოწყალოდ აჩანაგებენ ბუნებრივ რესურსებს, წამლავენ გარემოს, სოციალური საკითხები კი არ წყდება. არ სრულდება აგრეთვე გარემოს დაცვის ღონისძიებანი.

დეპუტატმა **ვ. დ. იუდინმა** განაცხადა, რომ ვერ მისცემს ხმას ვ. კ. გუსევის კანდიდატურას, რადგან, მისი აზრით, როგორც ქიმიური და ქიმიურ-სატყეო კომპლექსის ხელმძღვანელმა ვერ წარმოადგინა რთული პრობლემების გადაწყვეტისათვის მოქმედების ზუსტი და კონსტრუქციული პროგრამა. მის გამოსვლებში, დეპუტატის აზრით, იყო წინააღმდეგობრივობანი. ერთი მხრივ, ვ. კ. გუსევი ამბობს, რომ საჭიროა ტყის ჭრის შემცირება, მეორე მხრივ კი ბიუროს მიღწევად მიაჩნია გეგმების შესრულება, ესე იგი, ტყის ჭრის გაზრდა. ორატორმა დეპუტატთა ყურადღება მიაპყრო იმ ფაქტს, რომ კომპლექსში შემავალი სამინისტროების უმრავლესობის საქმიანობამ კომისიებსა და კომიტეტებში არ მიიღო დადებითი შეფასება.

ილაპარაკა რა ეკოლოგიის პრობლემებზე დეპუტატმა **მ. გ. რახიმოვმა** ხაზგასმით აღნიშნა, რომ ქიმია ქვეყანას სჭირდება, უნდა განვაგრძოთ დარგის საწარმოთა მშენებლობა. მაგრამ ამ დროს უნდა გავითვალისწინოთ, რომ ქვეყნის ყველა რეგიონს ესაჭიროება მხოლოდ ეკოლოგიურად სუფთა საწარმოები. მეტი უნდა ვიზრუნოთ აგრეთვე სოციალური, კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობებისათვის.

ორატორმა მხარი დაუჭირა ვ. კ. გუსევის კანდიდატურას.

დეპუტატმა **ვ. მ. ვოლოგჟინმა,** რომელიც ეკონომიკური რეფორმის საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარეა, განაცხადა, რომ კომიტეტი მონაწილეობდა ვ. კ. გუსევის კანდიდატურის განხილვაში. გაიმართა მკაცრი, პრინციპული სჯა-ბაასი. გამოითქვა აზრი, რომ საჭიროა მხარი დაუჭირონ მის მოქმედებას, რომლის მიზანია ეკოლოგიურ პრობლემათა გადაჭრა.

აზერბაიჯანის სს რესპუბლიკა განეკუთვნება რეგიონებს, სადაც დაგროვდა მრავალი პრობლემა, რომლებიც გამოიწვია გადახრებმა მთელი ქიმიური კომპლექსის განვითარებაში, თქვა დეპუტატმა **ა. ნ. ვეზიროვმა.** მხარი დაუჭირა მის კანდიდატურას, ორატორმა ამავე დროს მან, უმაღლესი საბჭოს კომიტეტებსა და კომისიებს მიმართა თხოვნით, რომ ქიმიური კომპლექსის განვითარებასთან დაკავშირებულ სანესებლაციო პოლიტიკაში გაითვალისწინონ რამდენიმე მომენტი. მან უურადღება დაუთმო იმას, რომ საჭიროა კაპიტალური დაბნინება და მეცნიერთა ძალისხმევა მოხმარდეს სიმძლავრეთა სრული ათვისების უზრუნველყოფას. გამოითქვა წინადადება აშენდეს საწარმოები, რომლებიც ზიანს არ მიაყენებენ გარემოს და ადამიანთა ჯანმრთელობას.

დეპუტატმა **ვ. ი. ოგაროკმა** თქვა, რომ, პრეტენდენტის კანდიდატურის განხილვისას, მთლიანად უნდა გავითვალისწინოთ მისი პოტენციური შესაძლებლობანი.

ორატორმა დამსწრეთ გაუზიარა თავისი მოსაზრებანი უზზეკეთში ქიმიურ-სატყეო კომპლექსის მდგომარეობის შესახებ, კერძოდ, აღნიშნა, რომ თუ რესპუბლიკის წილი ეროვნულ შემოსავალსა და მთლიან საზოგადოებრივ პროდუქტში შეადგენს 3 პროცენტს, ამ დარგის საწარმოებით გაჯერების დონე 10-12 პროცენტს აღწევს. ეს, ბუნებრივია, გავლენას ახდენს ეკოლოგიურ ვითარებაზე.

სიტყვას იღებს **ნ. ა. რიჟკოვი.** ვ. კ. გუსევის კანდიდატურის განხილვამ, თქვა მან, ცხარე დისკუსია გამოიწვია, რომელშიც გამოვლინდა მისადამი, როგორც საეკონომიკისა და ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი ურთულესი კომპლექსის ხელმძღვანელისადმი, სხვადასხვაგვარი დამოკიდებულება. დაახლოებით ასეთივე იყო სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის პოსტზე კანდიდატურის განხილვა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კომისიებშიც.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ გამოთქვა თავისი მოსაზრებანი დასახელებული კანდიდატურისა და მთელი კომპლექსის შესახებ.

რაც შეეხება ვ. კ. გუსევის კანდიდატურას, მე ჩემს აზრზე ვრჩები. გთხოვთ მხარი დაუჭიროთ მის კანდიდატურას.

ცხადდება კენჭისყრა. ხმის უმრავლესობით **ვ. კ. გუსევი** ინიშნება სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ.

ამით სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პალატების გაერთიანებული სხდომა დახურულად ცხადდება.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პირველი სესია მუშაობას განაგრძობს.

• • •

ნაშუადღევს გაიმართა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კომიტეტებისა და კავშირის საბჭოს და ეროვნებათა საბჭოს კომისიების სხდომები. განიხილავენ გეგმებთან და მათი შემდგომი მუშაობის ორგანიზაციასთან დაკავშირებულ საკითხებს.

(საკდესი).

მ. ს. გორბაჩოვმა მიიღო ლიბანის საკითხების სამთა კომიტეტის წარმომადგენელი ა. ფილალი

29 ივნისს კრემლში მ. ს. გორბაჩოვმა მიიღო მაროკოს საგარეო საქმეთა და თანამშრომლობის მინისტრი აბდელატიფ ფილალი, როგორც წარმომადგენელი სამთა კომიტეტისა, რომელიც შეიქმნა სრულიად არაბეთის უმაღლესი დონის კასაბლანკის თათბირზე და აქვს მანდატი გამონახოს ლიბანში შექმნილი მდგომარეობის მოწესრიგების ფორმულა. კომიტეტში შედიან მაროკოს მეფე ჰასან მეორე, ალჟირის პრეზიდენტი შ. ბენჯედიდი და საუდის არაბეთის მეფე ფაჰდი.

ა. ფილალიმ მ. ს. გორბაჩოვს გადასცა კომიტეტის ხელმძღვანელთა მისალმებანი, რომლებსაც მ. ს. გორბაჩოვთან ეს შეხვედრა მიაჩნიათ ახალ დიდმნიშვნელოვან მომენტად იმ არაბულ სახელმწიფოებთან საბჭოთა კავშირის ურთიერთობის განვითარებაში, რომლებსაც ისინი მეთაურობენ.

ა. ფილალიმ დაახასიათა ლიბანში შექმნილი სიტუაცია: იგი დღითი დღე უარესდება. ჩამოაყალიბა კომიტეტის თხოვნა მხარი დაუჭიროს მის საქმიანობას და, განსაკუთრებით, გამოიყენოს სსრ კავშირის ახლო ურთიერთობა მის მეგობარ არაბულ სახელმწიფოებთან — უპირველეს ყოვლისა სირიასთან და ერაყთან, — აგრეთვე თავისი, როგორც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს მუდმივი წევრის, მდგომარეობა ტრაგიკული კონფლიქტის უსწრაფესი მოწესრიგებისათვის.

მ. ს. გორბაჩოვმა არაბული ქვეყნების ლიგის სამთა კომიტეტის შექმნა შეაფასა როგორც იმის ნიშანი, რომ არაბულ სამყაროს სერიოზულად აქვს განზრახული მოაწესრიგოს ლიბანის კრიზისი. ეს შესაძლებელია მხოლოდ რეგიონის უკლებლივ ყველა სახელმწიფოს უშიშროების, პირველ ყოვლისა, რა თქმა უნდა, თვით ლიბანელი ხალხის ინტერესების გათვალისწინებით, არაბთა და უფრო ზოგადი, საერთაშორისო ინტერესების ბალანსის საფუძველზე. სამთა კომიტეტის მიმართვა მას მიაჩნია საბჭოთა კავშირისადმი, მისი პოლიტიკისადმი ნდობის ნიშნად.

ჩვენ არსებითად ვეთანხმებით მიდგომებს, თქვა მ. ს. გორბაჩოვმა, რომლებითაც იხელმძღვანელებს კომიტეტი და რომლებიც ასე გვესმის: ლიბანის ტერიტორიული მთლიანობა და სუვერენიტეტი, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრობა; ეროვნული შერიგება, რომელსაც ძალზე შეუწყობდა ხელს კონსტიტუციური რეფორმა; კონფლიქტში ჩართული სხვადასხვა მხარის ინტერესების გათვალისწინება; პოლიტიკური მოწესრიგების დროს კომპრომისულ გადაწყვეტათა ძიება და იმის აუცილებლობა, რომ შეიქმნას ამისათვის შესაბამისი გარემო; სამხედრო მეთოდების მიუღებლობა და უწინარეს ყოვლისა — ცეცხლის დაუყოვნებლივ შეწყვეტა. ერთი სიტყვით, საბჭოთა კავშირი მხარს უჭერს სამთა კომიტეტის მისიას. მზად არის მასთან რეგულარული კონტაქტებისათვის ლიბანში შექმნილი ვადგომარეობის უსწრაფესი ნორმალიზაციის მიზნით.

მ. ს. გორბაჩოვმა აცნობა ა. ფილალის, რომ უახლოეს ხანს ნავარაუდევია კონტაქტი ერაყის მოადგილე ა. პ. ბირიუკოვა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს პასუხისმგებელი მუშაკები. მოელი რიგი სამინისტროებისა და უწყებების წარმომადგენლები.

ა. პ. ბირიუკოვამ წაიკითხა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მისალმება წარმოებისა და მომსახურეობის საბჭოს მუდმივი წევრის, მდგომარეობა ტრაგიკული კონფლიქტის უსწრაფესი მოწესრიგებისათვის.

მ. ს. გორბაჩოვმა არაბული ქვეყნების ლიგის სამთა კომიტეტის შექმნა შეაფასა როგორც იმის ნიშანი, რომ არაბულ სამყაროს [illegible] ... ა. ... [illegible] ... ა. ... [illegible] ... ა. ...

...ამისია მუშაობას ...სკოვში განაგრძობს

...ბ თბილისში მუშა-
...ბრის სახალხო დე-
...ლობის მიერ შექმ-
...ლის 9 აპრილის მო-
...დაკავშირებულ გარ-
...ამოძიების კომისია. ი
...ინტერვიუში საქინფ-
...რესპონდენტს კომისიის
...რომ, ლენინგრადის სა-
...უნივერსიტეტის იუ-
...ფაკულტეტის კათედ-
...ამგემ **ანატოლი სობჩაკმა:**

...ჯერჯერობით შეიძლება გა-
...თდეს მხოლოდ წინასწარი ცნო-
...ბა ჩვენი კომისიის მუშაობაზე.
ჩვენ მოგხდარი ამბების ადგილს
შევესწავლეთ ვითარება, რომელ-
იც წინ უძღოდა ამ მოვლენებს,
აგრეთვე გამოვიკვლიეთ რესპუბ-
ლიკის პარტიული, სახელმწიფო
ორგანოებისა და ამიერკავკასიის
სამხედრო ოლქის სარდლობის
მიერ მთავრობის სახლთან მიმდი-
ნარე უსაქმეთო მიტინგის შეწყვე-
ტისა და მომიტინგეთაგან მოე-
დნის განთავისუფლების ოპერაც-
იის შესახებ გადაწყვეტილების
მიღების გარემოებანი. დეტალუ-
რად გაანალიზდა თვით ოპერაცი-
ის მიმდინარეობა და მისი განხო-
რციელების შედეგები, აგრეთვე
სიტუაცია, რომელიც რესპუბ-
ლიკაში შეიქმნა 9 აპრილის მოვ-
ლენათა შემდეგ.

კომისიის წევრები გაეცნენ დო-
კუმენტებს, რომლებიც მათ გადა-
ეცეს საქართველოს სსრ უმაღლეს
საბჭოს და სსრ კავშირის უმ-
აღლესი საბჭოს ტრაგიკულ მოვ-
ლენათა გამოძიების კომისიებმა,
აგრეთვე, ამიერკავკასიის სამხედ-
რო ოლქის სარდლობამ და სსრ
კავშირის თავდაცვის სამინისტ-
რომ, საქართველოს სსრ უმაღლეს
საბჭოს პრეზიდიუმმა, მინისტ-
რთა საბჭომ, შინაგან საქმეთა სამი-
ნისტრომ, სახელმწიფო უშიშროება-
ის კომიტეტმა, სხვადასხვა სახელმ-
წიფო თუ საზოგადოებრივმა ორ-
განიზაციამ და ცალკეულმა მოქა-
ლაქეებმა. ჩვენ მოვისმინეთ საქა-
რთველოს კომპარტიის ცენტრალ-
ური კომიტეტის ბიუროს წევრე-
ბისა და წევრობის კანდიდატების,
რესპუბლიკის სხვა თანამდებობ-
ების პირების, ამიერკავკასიის სამ-
ხედრო ოლქის და 9 აპრილის
ოპერაციის მონაწილე ნაწილების
მეთაურთა შემადგენლობის, სსრ
კავშირის თავადაცვის სამინისტ-
რომ, საქართველოს სსრ უმაღლეს
საბჭოს პრეზიდიუმის, მინისტ-
რთა საბჭოს, შინაგან საქმეთა სამი-
ნისტრომ, სახელმწიფო უშიშროებ-
ის კომიტეტმა, სხვადასხვა სახელმ-
წიფო თუ საზოგადოებრივმა ორ-
განიზაციამ და ცალკეულმა მოქა-
ლაქეებმა. ჩვენ მოვისმინეთ საქა-
რთველოს კომპარტიის ცენტრალ-
ური კომიტეტის ბიუროს წევრე-
ბისა და წევრობის კანდიდატების,
რესპუბლიკის სხვა თანამდებობ-
ების პირების, ამიერკავკასიის სამ-
ხედრო ოლქის და 9 აპრილის
ოპერაციის მონაწილე ნაწილების
მეთაურთა შემადგენლობის, სსრ
კავშირის თავადაცვის სამინისტ-
რომ, საქართველოს სსრ უმაღლეს
საბჭოს პრეზიდიუმის, მინისტ-
რთა საბჭოს, შინაგან საქმეთა სამი-
ნისტრომ, სახელმწიფო უშიშროებ-
ის კომიტეტმა, სხვადასხვა სახელმ-
წიფო თუ საზოგადოებრივმა ორ-
განიზაციამ და ცალკეულმა მოქა-
ლაქეებმა. ჩვენ მოვისმინეთ საქა-
რთველოს კომპარტიის ცენტრალ-
ური კომიტეტის ბიუროს წევრე-
ბისა და წევრობის კანდიდატების,
რესპუბლიკის სხვა თანამდებობ-
ების პირების, ამიერკავკასიის სამ-
ხედრო ოლქის და 9 აპრილის
ოპერაციის მონაწილე ნაწილების
მეთაურთა შემადგენლობის, სსრ
კავშირის თავადაცვის სამინისტ-
რომ, საქართველოს სსრ უმაღლეს
საბჭოს პრეზიდიუმმა, მინისტ-
რთა საბჭომ

საეჭვოა დღეს ვინმემ სადავოდ გახადოს, რომ საბჭოთა კავშირში მიმდინარე გარდაქმნა უმნიშვნელოვანესი მსოფლიო მოვლენაა, რომელიც უცნაური საზოგადოებრიობის გულმოდგინე ყურადღებას იპყრობს, გავლენას ახდენს სხვადასხვა ქვეყნის როგორც პოლიტიკოსთა, ისე რიგით მოქალაქეთა გუნებასა და განწყობილებაზე. ჩვენ თვითონაც ბევრს ვკამათობთ მის არსსა და ტემპზე. მიმხრეებსა და მონინააღმდეგეებზე, მარცხსა და გამარჯვებებზე. მაგრამ დამახასიათებელია, რომ სიახლეზე, რევოლუციურ საქმეზე ამ კამათის დროს ჩვენ ზოგჯერ მიჩვეული ნებებით და კატეგორიებით ვხელმძღვანელობთ, ხშირად ვცდილობთ ახალი მოვლენები ძველებური, ჩვეულებრივ ქცეული სანყაოთი ავხსნათ.

ამით უფრო საინტერესოა ჩვენი პრობლემების სხვაგვარი თვალსაზრისით, დასავლეთის პოლიტიკური გამოცდილების თვალსაზრისით შეფასება. საკავშირო ჟურნალ „კომუნისტის“ რედაქციის მოწვეთით ჩვენს ქვეყანაში მიმდინარე გარდაქმნაზე გვესაუბრება ცნობილი ისტორიკოსი და სოციოლოგი, პრინსტონის უნივერსიტეტის პროფესორი სტივენ კოენი.

— საზოგადოების დემოკრატიზაცია ყოველთვის ძნელი და ხანგრძლივი პროცესია. თანაც თეორიულ სფეროს სიძნელენი ნაკლები ახლავს; ვიდრე პრაქტიკისა. საბჭოთა კავშირში პოლიტიკური სიტუაციის რეფორმის სხვადასხვა ასპექტებს დისკუსიების დროს გამოითქმა სხვადასხვაგვარი წინადადებანი, ერძოდ—ვისებსო გამოცდილება, რომელიც ამ მხრივ ბევრ ქვეყანაში, დასავლეთში: ძალაუფლების გადანაწილება, საბრალოლებრივი სახელმწიფო და ა. შ. რა აზრისა ხართ ამ მხრივ?

— ზოგადი მოსაზრებით დავიწყებ. საფიქრებელია ასეთი კითხვა: თუ სისულელის გაგონებას ბერს, უცხოელს ჰკითხე, რას ფიქრობსო. რა უნდა, ეს ხუმრობაა. მაგრამ, თუ სერიოზულად ვილაპარაკებთ, ბევრი ამერიკელი, თანაც მარტო სოციოლოგი, მიეჩვია თქვენი ამბების ზერელედ შეფასებას, უფრო მეტიც — რუსებისთვის ჭკუის სწავლებას, თუ ვიცი როგორ ჰქნან. მე კი მირჩევნია როგორც მეცნიერმა გავაანალიზო მოვლენები და თავს ვიკავებ რჩევა-დარიგებას. ზუსტად ისევე, როგორც თქვენ უფლება გაქვთ გააანალიზოთ ამერიკის ამბები.

დემოკრატიული განვითარების ამერიკული გამოცდილების კონკრეტული მხარეების საკითხი უფრო ზოგადი საკითხის ნაწილია: პრინციპულად რომ ვთქვათ, ჩვენ ამ ეტაპზე ეს ... ზოგადების დემოკრატიზაციას ... გამოცდილების სესხებას? ... ზოგადად ჩემი აზრი ასეთია: სხვა ... ში დემოკრატიის „სესხება“ ... ელია ორი მიზეზის გამ... ერ ერთი, ვერავითარი პოლ... ური სისტემა ვერც ერთ ქვეყანაში სტაბილური ვერ იქნება, ... ეს ამ ქვეყანაში, მის ნიადაგზე ... ეშვა, როგორც საკუთარი პოლიტიკური კულტურის განვითარების შედეგი.

მეორე, მოდით, გადავხედოთ მსოფლიოს და მაჩვენეთ ქვეყანა, რომელიც დიქტატურიდან დემოკრატიაზე უმტკივნეულოდ გადასულიყოს. ალბათ, ყველაზე თვალში საცემი მაგალითი ესპანეთი იქნებოდა. მაგრამ ესპანეთი ხომ ... ზე განსხვავდება საბჭოთა კავშირისაგან: გაციებით პატარაა, ... ახლოებობაც ბევრად უფრო ერთგვაროვანია, ეიდრე საბჭოთა კავშირში; ესპანეთი — და ეს ძალზე მნიშვნელოვნად მიმაჩნია — საბჭოთა სახელმწიფო არ არის, ანუ ... საკავშირო-პოლიტიკური ... ბლემა არა აქვს, რომლებიც ... ენს მოახდენდნენ სამოწიო ... ებზე. შემდეგ, ესპანეთს ... და ღრმა ტრადიცია ჰქონ... — ვერ ვიტყვი, „დემოკრატიულ“-მეთქი, უფრო დასავლეთევროპული კულტურული ტრადიცია, და საფრანგეთისა და იტალიის ძლიერ გავლენას განიცდიდა. ამიტომ ავტორიტარული ტრადიციები ესპანეთში უფრო ... ეს ომორნნდა, კიდრე რუსეთში, განსაკუთრებით — ფრანკოს მმართველობის ბოლო წლებში. ... ბოლოს — საბაზრო ეკონომიკა, რომელიც მნიშვნელოვან ... ს ასრულებს დემოკრატიის ... ყალიბებაში.

... როგად, ჩვენი დასკვნა ასეთია: ... თა კავშირმა თავისი საკუთარი გზა უნდა აირჩიოს, თავისი ... ს დემოკრატიას მიაგნოს, უშუ... ოდ არავისგან არაფერი ისესხოს.

... გრამ არის საქმის მეორე მხარე — ზოგიერთი მომეხები საერთოდ ... ყველა ტიპის დემოკრატიისათვის. რა მაქვს სახელდობრ ... ველსაბამებში? პირველი: იმისაგან, რომ ნებისმიერ ქვეყანაში ... ოკრატიამ სტაბილურობა შეიძინოს, უნდა არსებობდეს ისეთი ... პოლიტიკური კულტურა, ... ლის ფარგლებშიც ადამიანები ... და ხელისუფლების ინსტიტუტები შეთანხმებული არიან, როგორც ამერიკაში იტყვიან, „პოლიტიკური თამაშის წესებით ითამაშონ“. ამ წესებს პატივს უნდა ... ცემდეს ყველა. სხვაგვარად რომ ... ვთქვათ, თუ „თამაშის“ ამა თუ იმ ... ს ზე თქვენი ძალისხმევა წარ... ებით არ დაგვირგვინდა, ... ენ მოვალენი ხართ დაეთანხ... ისეთ შედეგს, როგორიც ... ი, და მრმდეენო ეტაპზე იბრ... ოთ წარმატებისათვის, და ... ვთქვათ, თქვენ ან თქვენი ... ი დამარცხდით არჩევნ... ენ. თქვენ ამბობთ: ო, კეი, შეიძლება ვეცდი ბედს. თქვენ ეთანხმებით შედეგს, რადგან ეთანხმებით პოლიტიკური თამაშის ... ებს, რომლებსაც მისი დანარჩენი მონაწილენიც უნდა ასრუ... ენ.

... ემოკრატიის მეორე აუცილებელ პირობაა „კანონის მმართველობა“ (ის, რასაც თქვენ სამართლებრივ სახელმწიფოს უწოდ...). ამისთვის, რა თქმა უნდა, ... ია ეამოუკიდებელი სასამართლო. მესამე სამართლებრივი ... ტურა, მართლშეგნება.

... ამ ჩამოთვლილი სამი ელემენტი ნებისმიერი დემოკრატიის ... ილურობის უცილობელი პირ... ა, რადგან დემოკრატია შეგ... ია გახვსაზღვროთ კიდევ, ... ორც იმ წესების სისტემა, ... ებულაც ყველა ეთანხმება და ... ვს სცემს. თუ წესებს არ ... ცავთ, დემოკრატია ინგრევა. ... დამახასიათებელი მაგალითია ... ინური ამერიკის ზოგიერთი ... ანა: სამხედროებმა არ გაი... ეს დემოკრატიული რეჟიმის ... ბი — ძალით დაამხეს და ამ... საზოგადოების სტაბილუ... ა დაირღვა.

... უძლებელია დემოკრატიის ... ელემენტების „ელექტრონული ... ორტირება“. შეუძლებელია ... ვარგოთ წახვიდე და „იყიდ“ ... მაგალითად, მართლშეგნება: ... ხოლოდ თქვენი საკუთარი ... ითარების ნაყოფი შეიძლება ... ა. მაგრამ დემოკრატიის ამ ... ელემენტის შექმნას ათწლეულ...

ახალი, მანამდე უცნობი დემოკრატიის ტიპი შეიქმნას.

ეს ძალზე საინტერესოა მეცნიერული თვალსაზრისით. დღევანდელობის ძირეული პრობლემა ხომ ასეთია — როგორ შევუწყოთ „საყოველთაო კეთილდღეობის სახელმწიფო“ (ის, რასაც თქვენ სოციალიზმს უწოდებთ) დემოკრატიას. ამერიკაში დემოკრატია უფრო მეტია, ვიდრე „საყოველთაო კეთილდღეობა“. მაგალითად, ჩვენ არა გვაქვს სამედიცინო დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო სისტემა, მედიცინა ძალზე ძვირია. თქვენთან სხვაგვარადაა. შეიძლება მედიცინა უკეთესი ხარისხისა არ იყოს, მაგრამ მთელი საზოგადოებისათვის უფასოა! სხვაგვარად რომ ვთქვათ, თქვენ შექმენთ უზარმაზარი „საყოველთაო კეთილდღეობის სახელმწიფო“, თუმცა არცთუ საეკეთესო. მაგრამ ამასთანავე თქვენში, მომიტევეთ, არცთუ დიდი დემოკრატიაა. დემოკრატიისა და კეთილდღეობის შერწყმის ამ პრობლემის გადაწყვეტას სხვადასხვაგვარად ცდილობენ დასავლეთში. სხვადასხვა ქვეყანა თანამედროვე სისტემისაკენ სხვადასხვა გზით მიდიოდა: თქვენ კეთილდღეობის საზოგადოება შექმენთ და ახლა დემოკრატიის განვითარება გსურთ. დასავლეთი — ამერიკის შეერთებული შტატები, დიდი ბრიტანეთი, სკანდინავიის ქვეყნები — პირიქით, დემოკრატიიდან კეთილდღეობისაკენ მიდიოდა. საბჭოთა კავშირს შეუძლია ამ პრობლემის გადაწყვეტაში თავისი არსებითი წვლილი შეიტანოს. იქნებ თქვენ რაღაც ახალი ასწავლოთ მსოფლიოს. ასეა თუ ისე, ჩემი აზრით, მსოფლიომ თანაგრძნობით და ინტერესით თვალი უნდა ადევნოს იმას, რაც საბჭოთა კავშირში ხდება. მწყინს, რომ ბევრ გავლენიან ამერიკელს ეშინია გარდაქმნისა. რატომ? ჩვენ ყურადღებით და ინტერესით უნდა შევისწავლოთ ეს ახალი გამოცდილება.

— ჩვენთვისაც ძალზე მნიშვნელოვანია დროულად გავიაზროთ იგი. მარტივი საკითხი არ არის გარდაქმნისადმი, პოლიტიკური რეფორმებისადმი საზოგადოების სხვადასხვა ფენის დამოკიდებულება, მთავარი სიძნელეები და საფრთხე, რომლებიც რეფორმას ჩასაფრებიან. ზოგიერთი მათგანი რომ „ბუქსაობს“, ეს უდავოა. მთავარია გავერკვეთ ამ „ბუქსაობის“ მიზეზებში.

— ამას ვერ იზამთ, სანამ წინასწარ არ განსაზღვრავთ, თუ რა არის გარდაქმნა. ეს ხომ ძალზე ფართო და ღრმაშნაარსიანი ცნებაა. ჰკითხეთ პირველ გამვლელს, როგორ უყურებს გარდაქმნას. დარწმუნებული ვარ, თითქმის ყოველი მათგანი გიპასუხებს, რომ თავით ბოლომდე მხარს უჭერს, მაგრამ როცა კითავს დააკონკრეტებთ, სურათი შეიცვლება. ჰკითხეთ მუშას, მზად არის თუ არა მეტი იმუშაოს, მმართველს — სურს თუ არა პპარატის შემცირება. ყველანი დადებითად როდი გიპასუხებენ. სხვაგვარად რომ ვთქვათ, „საერთოდ“ გარდაქმნას, როგორც ცხოვრების „გუჭორსებებას“, უმრავლესობა უჭერს მხარს. მაგრამ, აი, კონკრეტულ „უხერხულობებს“, რომლებიც მასთან არის დაკავშირებული, ყველა როდი ემხრობა. მაგრამ გარდაქმნა ხომ მთელ ამ „კერძო საკითხთა“ ჯამია!

რა ახასიათებს ყველაზე მეტად გარდაქმნას? ამ კითხვას რომ ვუპასუხოთ, უნდა განვსაზღვროთ მისი მთავარი კომპონენტები. აქ მე ვეთანხმები მ. ს. გორბაჩოვის თვალსაზრისს, რომელსაც, ზოგიერთი დასავლელი და თქვენეული მკვლევარისაგან განსხვავებით, პარტიაში რადიკალური ფრთის ლიდერად ვთვლი (რა თქმა უნდა, იგი ამასთანავე ეროვნული ლიდერიცაა, ეროვნული ლიდერი კი ფრთხილად უნდა იყოს). ჰოდა, მე მგონია, გარდაქმნა შეიცავს ოთხ ძირითად კომპონენტს: 1) საჯაროობას; 2) დემოკრატიზაციას (მათ შორის პარტიაშიც); 3) ეკონომიკის სახელმწიფო სექტორში დეცენტრალიზაციას; 4) საბაზრო რეფორმას (კოოპერატივები, ინდივიდუალური მეწარმეობა და სხვა).

რა არის აქ, ჩემი აზრით, უმთავარესი? უნდა შეიზღუდოს სახელმწიფოს ძალაუფლება და მისი ჩარევა საზოგადოებრივი ცხოვრების ოთხივე ზემოთნაშნულ სფეროში. გამოჩენილი რუსი ისტორიკოსი კლიუჩევსკი წერდა, რუსეთის ისტორიის მანძილზე „სახელმწიფო სუქდებოდა, ხალხი კი ხდებოდაო“. გარდაქმნა უკუპროცესია: „სახელმწიფო“ ... ასე ვთქვათ, იკვეცება, სამაგიეროდ ხალხი, სამოქალაქო საზოგადოება „ფართოვდება“. სხვაგვარად რომ ვთქვათ, გარდაქმნის არსი საზოგადოების დეეტატიზაცია. მაგრამ ამასთანავე ეს არის დეტალიზაციც, რადგან სტალინიზმს საფუძვლად ედო სახელმწიფოს ჰიპერტროფია, საზოგადოების გასახელმწიფოებრიობა, ეტატიზმი. არსებითად, გარდაქმნა ამ თვალსაზრისით ხრუშჩოვის დროს დაიწყო (პიროვნების კულტის დაგმობა, ტერორის შეწყვეტა, მილიონობით ტუსაღის განთავისუფლება და ა. შ.). მაგრამ მთლიანად ადმინისტრაციის სისტემა მაშინ მაინც შემორჩა. ახლა დაიწყო მისი ღრმა რეკონსტრუქციაც.

რაც შეეხება გარდაქმნისადმი ხალხის დამოკიდებულებას, აქ შეიძლება გამოიყოს სამი ძირითადი პოზიცია, გარდაქმნის გაგების სამი სხვადასხვა ეტაპიანები მისი ოთხი კომპონენტიდან თითოეულისადმი სხვადასხვაგვარი დამოკიდებულების მიხედვით. პირველი. ვარიანტი — გორბაჩოვისა და მისი მომხრეების პოზიცია: უნდა განვითარდეს ოთხივე კომპონენტი. მეორე ვარიანტი (მას „შუათანა კურსი“ ვუწოდეთ) — „გარდაქმნა გადახრების გარეშე“, ანუ ეკონომიკური გარდაქმნები პოლიტიკური დემოკრატიზაციისა და საჯაროობის გარეშე. მესამე ვარიანტი — „სტალინური გარდაქმნა“: სახელმწიფო საწყისის გაძლიერება, „შაგარი ხელი“. ეს ჩემი ფანტაზია არ გეგონოთ — საკმარისია გულისყურით წაიკითხოთ თქვენი გაზეთები.

მესამე ვარიანტის მომხრენი აშკარად გორბაჩოვის წინააღმდეგი არიან. მათი აზრით, მისი კურსი ასუსტებს სახელმწიფოს ზუსტად ისევე, როგორც, ვითომდა, დასუსტეს იგი ხრუშჩოვმა, დეტალიზაციის გეზით, და ბრეჟნევმა, რომელმაც დაუშვა უძარაობა და სახელმწიფო აპარატში კორუფცია. საინტერესოა, რატომ არის, რომ ამდენ პატიოსან, ნორმალურ საბჭოთა ადამიანს გულწრფელად უყვარდა და დღემდე უყვარს სტალინი? ტერორის თაყვანისმცემელნი ხომ არ არიან! ს�მე ის არის, რომ მათ უყვართ სახელმწიფო, ხოლო სტალინი, მათი აზრით, მას განსახიერებდა.

მაშ, ასე, გვაქვს გარდაქმნის სამი კონცეფცია: დეეტატიზაცია, გარდაქმნა „გადახრების გარეშე“ და, ასე ვთქვათ, „სახელმწიფოებრივი“ გარდაქმნა. ამიტომ ვერ დავეთანხმები იმ აზრს, თითქოს გარდაქმნას ალტერნატივა არ ჰქონდეს. ისტორიაში ყოველთვის არის ალტერნატივები. ამ შემთხვევაში, აი, ინებეთ — ნომერი ორი და ნომერი სამი, და მე მგონია, დღეს თქვენს საზოგადოებაში სამი კონცეფციის გარშემოა სწორედ ბრძოლა.

— გვთავაზობენ კიდევ ერთ „ალტერნატივას“, არომანტიკულებენ რა ჩვენს წარსულს 1917 წლამდე, ყოველ შემთხვევაში ოქტომბრამდე...

— ასეთი გრძნობა გასაგებია. მაგრამ როგორც ალტერნატივა ეს წინადადება მოკლებულია რეალობას. წარსული წარსულია.

ახლა ისიც ვთქვათ, რა დაბრკოლებებია გარდაქმნის გზაზე და რა საფრთხე ექმნება მას. თუ გორბაჩოვის კურსის მიმართ საფრთხეზე ვილაპარაკებთ, მთ შორის მთავარი და ყველაზე ზოგადია რუსეთის სახელმწიფოებრივი ტრადიცია, რომელიც რევოლუციამდე დიდი ხნით ადრე არსებობდა. მისი არსია საზოგადოებაზე სახელმწიფოს ბატონობა, საზოგადოებრივ წყობილებაში ჩამოყალიბებული „თაყვანისცემის“ სტერეოტიპი სახელმწიფოს მიმართ: სახელმწიფო ბრძანებებს იძლევა, ჩვენ კი მზად ვართ შეასრულოთ. ეს ტრადიცია 1917 წლის შემდეგაც ცოცხლობდა. ლენინური გარდაქმნა“: სახელმწიფო საწყისის გაძლიერება, „შაგარი ხელი“. ეს ჩემი ფანტაზია არ გეგონოთ — საკმარისია გულისყურით წაიკითხოთ თქვენი გაზეთები.

მესამე ვარიანტის მომხრენი აშკარად გორბაჩოვის წინააღმდეგი არიან. მათი აზრით, მისი კურსი ასუსტებს სახელმწიფოს ზუსტად ისევე, როგორც, ვითომდა, დასუსტეს იგი ხრუშჩოვმა, დეტალიზაციის გეზით, და ბრეჟნევმა, რომელმაც დაუშვა უძარაობა და სახელმწიფო აპარატში კორუფცია. საინტერესოა, რატომ არის, რომ ამდენ პატიოსან, ნორმალურ საბჭოთა ადამიანს გულწრფელად უყვარდა და დღემდე უყვარს სტალინი? ტერორის თაყვანისმცემელნი ხომ არ არიან! საქმე ის არის, რომ მათ უყვართ სახელმწიფო, ხოლო სტალინი, მათი აზრით, მას განასახიერებდა.

მაშ, ასე, გვაქვს გარდაქმნის სამი კონცეფცია: დეეტატიზაცია, გარდაქმნა „გადახრების გარეშე“ და, ასე ვთქვათ, „სახელმწიფოებრივი“ გარდაქმნა. ამიტომ ვერ დავეთანხმები იმ აზრს, თითქოს გარდაქმნას ალტერნატივა არ ჰქონდეს. ისტორიაში ყოველთვის არის ალტერნატივები. ამ შემთხვევაში, აი, ინებეთ — ნომერი ორი და ნომერი სამი, და მე მგონია, დღეს თქვენს საზოგადოებაში სამი კონცეფციის გარშემოა სწორედ ბრძოლა.

— გვთავაზობენ კიდევ ერთ „ალტერნატივას“, არომანტიკულებენ რა ჩვენს წარსულს 1917 წლამდე, ყოველ შემთხვევაში ოქტომბრამდე...

— ასეთი გრძნობა გასაგებია. მაგრამ როგორც ალტერნატივა ეს წინადადება მოკლებულია რეალობას. წარსული წარსულია.

ახლა ისიც ვთქვათ, რა დაბრკოლებებია გარდაქმნის გზაზე და რა საფრთხე ექმნება მას. თუ გორბაჩოვის კურსის მიმართ საფრთხეზე ვილაპარაკებთ, მთ შორის მთავარი და ყველაზე ზოგადია რუსეთის სახელმწიფოებრივი ტრადიცია, რომელიც რევოლუციამდე დიდი ხნით ადრე არსებობდა. მისი არსია საზოგადოებაზე სახელმწიფოს ბატონობა, საზოგადოებრივ წყობილებაში ჩამოყალიბებული „თაყვანისცემის“ სტერეოტიპი სახელმწიფოს მიმართ: სახელმწიფო ბრძანებებს იძლევა, ჩვენ კი მზად ვართ შეასრულოთ. ეს ტრადიცია 1917 წლის შემდეგაც ცოცხლობდა. სტალინი კი არა მარტო ინარჩუნებდა, არამედ კიდეც განამტკიცებდა, ავითარებდა მას. რუსეთის მთელი ისტორიის მანძილზე ამ ტრადიციაზე იშვიათად მოუხდენიათ ზემოქმედება. მაგალითად, XIX საუკუნის 60-80-იან წლებში და 1917 წლის რევოლუციის დროს.

შეუძლია თუ არა საპირისპირო ნაბიჯი ... „საზოგადოებრივ“ ტრადიციას კონკურენცია გაუწიოს ამ უძველეს სახელმწიფო ტრადიციას, რომელსაც საუკუნეები უმაგრებს ზურგს? სხვათა შორის, ეროვნებათაშორისი კრიზისებიც, რომელიც დღეს აზანზარებს თქვენს ქვეყანას, საერთაშორისო კონფლიქტებიც მხოლოდ აძლიერებს მას. როგორც კი იჩენს თავს კრიზისი, მაშინვე იმედის თვალით შეხედავენ სახელმწიფოს, რომელიც თითქოს ყველაფერს უშველის, ყველას მაგვრად ყველაფერს გააკეთებს და ა. შ. ეს მხოლოდ აღორნევრეს სახელმწიფო მანქანას და, მაშასადამე, ეწინააღმდეგება დემოკრატიზაციას.

რაც შეეხება გარდაქმნის მეორე კონცეფციას, რომელზეც გელაპარაკეთ, ეგრეთ წოდებულ „შუათანა კურსს“, მის მომხრეებს, მე მგონია, ქვეყნის პრობლემის გადაჭრის უნარი არ შესწევთ. ესეც შემამფოთებელია, რომდენადაც თქვენი ქვეყნის პრობლემები მართლაც ძალზე სერიოზულია. და თუ წინათ ქვეყნის მართვისას თვი ისე ეჭირათ, თითქოს ეს პრობლემები არ ყოფილიყოს, ახლა საჯაროობის შედეგად ეს ყველამ იცის. ასეთ პირობებში გარდაქმნის ყოველგვარი პროგრამა პრობლემების კონკურეტულ და რეალისტურ გადაწყვეტას უნდა სთავაზობდეს. „შუათანა კურსს“ მომხრეებს კი ასეთი გადაწყვეტანი არა აქვთ.

სამაგიეროდ „სტალინური გარდაქმნის“ მომხრეებმა იციან, როგორ გადაწყვიტონ, საჭიროა: „მაგარი ხელი“, მათრახი. მაგრამ ასეთი „გადაწყვეტა“ საფრთხეს უქმნის „გორბაჩოვისეულ გარდაქმნას“. ხატოვნად რომ ვთქვათ, გორბაჩოვის ვარიანტი ჩამოსართმევად გაწვდილი ხელია, მზად არის გასაცემად და მისალებად. სტალინისტების ვარიანტი მუშტად შეკრული ხელი; შუთანა ვარიანტი მხრების აჩეჩვა, რადგან გადაწყვეტის უნარი არ შესწევს.

გარდაქმნის გზაზე დაბრკოლებანი დაკავშირებულია იმასთანაც, რომ ერთი მიმართულებით წინსვლას ამუხრუჭებს შეფერხებანი რომელიღაც სხვა მიმართულებით. ყველაზე შორს საჯაროობა წავიდა. მრავალი თვალსაზრისით ეს ინტელიგენციის აქტიურობის შედეგია, რადგან ინტელიგენტთა შორის ბევრია ახალი კურსის მომხრე. საჯაროობამ მაღალი სცა ბიუროკრატიას ყველაზე სუსტ ადგილას — კულტურისა და ინფორმაციისადმი კონტროლის სფეროს. მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა ხელმძღვანელობაში ახალი ადამიანები მოვიდნენ.

ყველაზე უარესი სიტუაცია ეკონომიკაში შეიქმნა, იქ დღიდა სამმართველო აპარატის წინააღმდეგობა. სხვათა შორის, დასავლეთშიც და თქვენს პრესაშიც ბევრნი ამტკიცებენ, მმართველები, ნომენკლატურა რაღაც მონოლითური ჯგუფიაო, ახალი საზოგადოებრივი კლასია, რომელსაც უნდა ვებრძოლოთო. მაშინ მე გკითხავთ: განა გარდაქმნის ახლანდელნ ლიდერები, პარტიის ლიდერები ამავე ნომენკლატურიდან არ არიან? ბრძოლა მიმდინარეობს. ნომენკლატურის შიგნით, რომლის მნიშვნელოვანი ნაწილი ხელს უშლის „ზემოელთა“ და „ქვემოელთა“ გაერთიანებას, როგორც ეს გორბაჩოვი წარმმართება. ეს ისტორიული პროცესია მთელი თავისი კანონზომიერებებით.

— პოლიტიკური რეფორმის ერთ-ერთი უმთავრესი საკითხია საზოგადოების პარტიული ხელმძღვანელობის, საერთო პარტიული სისტემის პოტენციალის საკითხი. თუ ძალზე მოკლედ შევაჯამებთ ყოველივე იმას, რაც ჩვენში თქმულა ამის გამო, მივიღებთ ორ კითხვარს: პირველი, დემოკრატიული საზოგადოების გარდაუვალი პირობაა თუ არა მრავალპარტიულობა? მეორე, თუ არა, რამდენად შესაძლებელია რეალური დემოკრატია ერთპარტიული სისტემის პირობებში?

— სანამ ამ კითხვებზე გიპასუხებდეთ, მოდით გავერკვეთ, რა არის პოლიტიკური პარტია. მე მგონია, არსებობს სულ ცოტა ოთხი ტიპის პარტია. პირველი — პარტია როგორც პოლიტიკური ავანგარდი (ლენინის კონცეფცია), მეორე — პარტია, რომლის უწინარესი დანიშნულებაა საარჩევნო კამპანიაში მონაწილეობა. ასეთია ამერიკის შეერთებული შტატების პარტიები. მათი მთავარი ამოცანაა უხელმძღვანელონ კანდიდატების საარჩევნო კამპანიას (სახსრების შეგროვება, აგიტაცია და ა. შ.). ისინი პარტიებად არსებობენ უმთავრესად არჩევნების დროს, თუმცა უნდა გავითვალისწინოთ, რომ სხვადასხვა ორგანაში არჩევნები პრაქტიკულად ყოველწლიურად იმართება და ისინიც განუწყვეტლივ ფუნქციონირებენ. მაგრამ აქ ნაშდვილი წევრობა არ არსებობს. ამერიკელი არ გეტყვით: „მე დემოკრატიული პარტიის წევრი ვარ“. იგი გეტყვით: „მე ხმას ვაძლევ დემოკრატებს“.

მესამე ტიპია „საპარლამენტო“ პარტია, რომელიც დამახასიათებელია ევროპის ქვეყნებისათვის. დიდი ბრიტანეთისთვის, საფრანგეთისთვის და ა. შ. ეს ტიპი ორ ძირითად ფუნქციას ასრულებს: არჩევნების მზადება და პარლამენტისადმი კონტროლი. პარლამენტის უმრავლესობაზეა დამოკიდებული პრემიერ-მინისტრის კანდიდატურა და მთავრობის შემადგენლობა.

და ბოლოს, მეოთხე ტიპი — „პარტია-საზოგადოება“, ანუ „პარტია-კლუბი“, მასობრივი პარტია, რომელიც ადამიანებს აერთიანებს არა იმდენად პოლიტიკური გეზის მიხედვით, რამდენადაც საერთო შეხედულებების, ინტერესების, კულტურული მოთხოვნილებების, საჭიროებრივი პრობლემებზე ბჭობისადმი მისწრაფების შესაბამისად (ცხადია, ისინიც მონაწილეობენ არჩევნებში და ა. შ.). რაღა თქმა უნდა, იმ ქვეყნებში, სადაც ნამდვილი მრავალპარტიულობაა, პარტიები დიდმნიშვნელოვან როლს ასრულებენ, როგორც ლეგალური ოპოზიცია, როგორც მმართველი პარტიის რეალური ალტერნატივა.

თუ ხელისუფლების სათავეში ავანგარდი პარტია მოექცა, იგი მალე ადმინისტრაციად, ნომენკლატურად გადაიქცევა. და როცა მესამის მოწოდებანი, რომ საბჭოთა კავშირში შეიქმნას მეორე, მესამე და ა. შ. პარტიები, მინდა ვიკითხო: სახელდობრ რისელი? თუ ლაპარაკია მეოთხე ტიპზე, იგი არსებითად უკვე შეიქმნა — სადისკუსიო კლუბები, სახალხო ფრონტები, სხვა თვითმოქმედი საზოგადოებრივი ფორმირებანი ამ ტიპის პარტიის ყველა ფუნქციას ასრულებენ. თუ ისინი სეერთო-საკავშიროდ გადაიქცა, შეძლებენ საბჭოების დეპუტატთა თავიანთი კანდიდატების დასახელებას. თუ ლაპარაკია მესამე ტიპზე — „საპარლამენტო პარტიაზე“, თქვენ ჯერ კიდევ არა გაქვთ ნამდვილი პარლამენტი.

რჩება მეორე ტიპი — „საარჩევნო პარტია“, შეიძლება ითქვას, მრავალპარტიული სისტემის ერთადერთი სარგებელია არჩევნების ორგანიზაცია და სხვადასხვა კანდიდატის მხარდაჭერა. მაგამ ახლანდელ პირობებში, სულ ერთია, საარჩევნო კამპანიას მაინც კომენსტიტები გაუწევენ კონტროლს. მმართველი პარტიის ხელშია ფინანსები, ტრანსპორტი, სტამბები, შესაკრები ადგილები და ა. შ.

მე რამდენადმე სხვაგვარად, უჩვეულოდ შევაბრუნებდი კითხვას: იმას, რაც ამჟამად არის თქვენში, შეიძლება ვუწოდოთ „მრავალპარტიული სიტუაცია ერთპარტიული პოლიტიკური სისტემის პირობებში“. რა მაქვს მხედველობაში? პირველი, ზოგადი მოსაზრება: პლურალიზმი მხოლოდ მაშინ არის რეალური, როცა საზოგადოებაში ლეგალურად ვლინდება სხვადასხვა საზოგადოებრივი ჯგუფის პოზიციები. წინათ საბჭოთა კავშირში ეს არალეგალურად ხდებოდა. ახლა სხვადასხვა აზრის გამომხატველებად საჯაროდ გამოდიან კლუბები, „სახალხო ფრონტები“ და ა. შ. სწორედ ამიტომ ვლაპარაკობთ მრავალპარტიულ პოლიტიკაზე უმრავალპარტიო სისტემის პირობებში. საკმარისია თუ არა ეს — არც ვიცი და არც მსურს ამაზე მსჯელობა. ეს თქვენი საშინაო საქმეა.

მაგრამ არის მეორე მოსაზრებაც. მაგალითად, ჟურნალების რედაქტორები, რომლებიც სხვადასხვა საზოგადოებრივ პოზიციის ადგანან, — ნ. ანდრეეევა და მისი მოწინააღმდეგენი, ყველანი ერთი და იგივე კომუნისტური პარტიის წევრები არიან. ამჟამად მე ვიკვლევ არცთუ შორეულ ისტორიულ პერიოდს, შეიძლება ითქვას, ვსწავლობ „გარდაქმნის გარდაქმნამდე“. დასავლეთში ბევრი ამბობს, ხრუშჩოვი დამარცხდაო. მე ასე არ მიმაჩნია. არ შეიძლება პოლიტიკური მოღვაწე გაიცინო იმისთვის, რომ პოსტი მიატოვა; მთავარია, რისი ჩემი აზრით, უმეტესად არის დაკავშირებული კონსტიტუციულ მოძრაობის ლიდერად. როგორც ცნობილია, ბ. ელცინი კიმკავშირულ აქტივისტებს რამდენიმე წლის წინათ შეუქმნიათ იმ ნ. ბ. ... ...

ულუსოქმედი

საკდესი იუწყება
30 ივნისი

● საბჭოთა კავშირი-დასავლეთ ევროპა

სავაჭრო ურთიერთობის პერსპექტივები

ბრიუსელი. საბჭოთა კავშირსა და დასავლეთ ევროპას შორის სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობის განვითარების პერსპექტივები განიხილეს აქ დამთავრებულ კოლოქვიუმზე. იგი მოეწყო პოლიტიკური კვლევის ევროპის ცენტრის და ორგანიზაცია „ეკსპორტ ესისტენს ინტერნეშნლის“ ინიციატივით, რომელიც საერთაშორისო ვაჭრობის გაფართოების საკითხებზე მუშაობს.

კოლოქვიუმში მონაწილეობდნენ სსრ კავშირისა და დასავლეთ ევროპის ქვეყნების მეცნიერები, საქმიანი და საფინანსო წრეების წარმომადგენლები, ფირმებისა და საწარმოთა ხელმძღვანელები. კოლოქვიუმის გახსნაზე გამოსულმა ევროპის გაერთიანებათა კომისიის საგარეო ურთიერთობის მთავარი სამმართველოს გენერალურმა დირექტორმა ჰორსტ კრენზლერმა აღნიშნა, რომ სსრ კავშირში დაწყებულმა გარდაქმნამ დასაბამი მისცა ახალ ერას აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის ურთიერთობაში, რომელიც სულ უფრო მეტად ყალიბდება კონსტრუქციული დიალოგის საფუძველზე. ევროპის ეკონომიკური გაერთიანების ქვეყნები, განაცხადა მან, მზად არიან ფართოდ ითანამშრომლონ საბჭოთა კავშირთან ბევრ სფეროში, მათ შორის ისეთებში, როგორიცაა უახლესი ტექნოლოგიების ათვისება და სპეციალისტთა მომზადება.

● ახლო აღმოსავლეთი

ძალადური აქცია

პარიზი. ისრაელმა ოკუპანტებმა მოახდინეს მდინარე იორდანის დასავლეთ ნაპირიდან და ღაზის სექტორიდან სამხრეთ ლიბანში კიდევ რვა პალესტინელის დეპორტაცია. ეს ძალადურად გაძეკილი არაბები, როგორც ფრანს პრესის სააგენტო იუწყება, უკანასკნელი თორმეტი თვის მანძილზე ისრაელის სპეციმრეროებში იმყოფებოდნენ. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა მდივანმა ხავიერ პერეს დე კუელიარმა დაგმო ისრაელის მიერ ლიბანში დასაძალეთი ნაპირიდან და ღაზის სექტორიდან 8 პალესტინელის დეპორტაცია. მისი აზრით, ამ აქციამ შეიძლება კიდევ უფრო გაართულოს. ისედაც დაძაბული სიტუაცია რეგიონში.

● ამერიკა

საჭიროა თაობათა დიალოგი

დღეს რესპუბლიკის მოსახლეობის მეხუთედს შეადგენენ ხანდაზმულნი ასაკის ადამიანები. მთლიანად ქვეყანაში მათი წილი ოდნავ ნაკლებია — ყოველი მეექვსე მცხოვრები. უკანასკნელი წლების ტენდენცია მოწმობს, რომ მოსახლეობა ბერდება, ჩვენი უფროსი თაობა ცხოვრობს უფრო მეტხანს, ვიდრე წინათ. მაგრამ იბადება ასეთი შეკითხვა: როგორ ცხოვრობს იგი, მისი კეთილდღეობის გადიდებისათვის რა ზომები უნდა განხორციელდეს დღეს დაუყოვნებლივ?

ამ პრობლემის აქტუალურობა დაადასტურა დისკუსიის მიმდინარეობამ სახალხო დეპუტატთა ყრილობაზე. ყრილობამ დიდი უყურადღება დაუთმო ვეტერანთა, პენსიონერთა, მარტოხელა ხანდაზმულთა მდგომარეობას და აღნიშნა ამ საკითხთა გადაწყვეტის კავშირი საერთო პოლიტიკურ პროცესებთან, ქვეყნის სოციალური და ეკონომიკური ცხოვრების ცვლილებებთან. ამ თვალსაზრისით განიხილეს მიმდინარე საქმეები საქართველოს ომისა და შრომის ვეტერანთა რესპუბლიკური საბჭოს პლენუმზეც, რომელიც 27 ივნისს გაიმართა თბილისში.

ომისა და შრომის ვეტერანთა რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე თამარ ლაშქარაშვილმა თავის მოხსენებაში შეაჯამა ვეტერანთა ორგანიზაციებში გამართული საანგარიშო-საარჩევნო კამპანიის შედეგები, შეეხო მათი საქმიანობის შემდგომ სრულყოფას.

რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარემ, სსრ კავშირის სახალხო დეპუტატმა შალვა კიკნაძემ თავისი გამოსვლა მიუძღვნა იმ პრობლემებს, რომლებსაც შეეხნენ ყრილობაზე.

პლენუმის მონაწილეთა გამოსვლებში ერთ-ერთი მთავარი თემა იყო ის, რომ აქტიურად უნდა მივმართოთ ახალგაზრდობასთან გულახდილ და პირდაპირ დიალოგს, როგორც ურთიერთგაგების, ძალისხმევის გაერთიანების ყველაზე სწორ გზას. დღეს ეს უმნიშვნელოვანესი პირობაა რესპუბლიკაში იმ რთული პოლიტიკური და ეკონომიკური ამოცანების გადაწყვეტისთვის, რომლებიც განსაზღვრავენ მის შემდგომ ეროვნულ განვითარებას.

პლენუმზე გამოვიდა ომისა და შრომის ვეტერანთა საკავშირო საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ალექსანდრე გოლიაკოვი. (საქინფორმი).

რესპუბლიკის სტუმრები

სამ დღეს ეცნობოდნენ საქართველოს ცხოვრებას ამერიკის შეერთებული შტატების თვალსაჩინო პოლიტიკური მოღვაწე, ფორისპრუდენციის დარგის სპეციალისტი ქეთლინ კენედი და ვაშინგტონის რობერტ კენედის მემორიალის აღმასრულებელი დირექტორი სიუზან კრფტი. ისინი რესპუბლიკაში ჩამოვიდნენ საქართველოს საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საზოგადოების მოწვევით.

ამერიკელმა სტუმრებმა დათვალიერეს თბილისის ღირსშესანიშნაობანი და მცხეთა, იყვნენ სსრ კავშირის სახალხო მხატვრის, ლენინური და სახელმწიფო პრემიების ლაურეატის ზურაბ წერეთლის სახელოსნოში. ისინი შეხვდნენ რესპუბლიკის პროკურორს ვახტანგ რაზმაძეს, რომელმაც გააცნო მათ საპროკურორო ზედამხედველობის, საგამოძიებო მუშაობის დაყენება, გარდაქმნა რესპუბლიკის პროკურატურის ორგანოებში სამართლებრივი სახელმწიფოს შექმნისათვის დროით წამოყენებულ მოთხოვნებთან დაკავშირებით.

29 ივნისს ამერიკელი სტუმრები თბილისიდან ლენინგრადს გაემგზავრნენ. (საქინფორმი).

წმინდა ნინოს ნაკვალევზე

„ქალწული უმშვენიერესი, სულით უმანკო და სხეულით უხადო, ტანათ ალვა და პირად სახიერი, გონებით ნათელიერი და რწმენით შეგრძნებული“ — ასე ხასიათდება წმინდა ნინო, რომელიც მოდიოდა „დიდისა ქალაქისა მცხეთისაკენ, სადაც ღმერთნი ღმერთობდნენ და მეფენი მეფობდნენ“.

ლამის ჩვიდმეტი საუკუნე გავიდა მას შემდეგ, რაც წმინდა ნინომ საქართველოში ქრისტიანობა შემოიტანა.

და აი, მორწმუნე ახალგაზრდობის ერთმა ჯგუფმა გადწყვიტა ქვეითად გამოეართათ წმინდა ნინოს მიერ განვლილი გზა თავფარავნის ტბიდან მცხეთამდე. ისინი 2 ივნისს გამოემგზავრნენ სოფელ ფოკიდან და 27 დღის შემდეგ მცხეთას ჩამოვიდნენ. მეორე დღეს მათ სამთავროს ტაძარში მონაწილეობა მიიღეს წმინდა ნინოს სახელზე წირვა-ლოცვაში, რომელსაც ადავლენდა სრულიად საქართველოს „კათოლიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია II.

წირვა-ლოცვის შემდეგ საკრებულო იმ ადგილისაკენ გაემართა, სადაც მალე წმინდა ნინოს ქანდაკება დაიდგმება. მორწმუნეებმა, თბილისისა და მცხეთის სახელმწიფოებრიობის წარმომადგენლებმა დიდი ინტერესით დათვალიერეს ქანდაკების პროექტი და მაკეტი, რომლის ავტორია საბჭოთა კავშირის სახალხო მხატვარი ზურაბ წერეთელი.

უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ აკურთხა ადგილი, სადაც ქანდაკება დაიდგმება, დალოცა და მიუღოცა ერს ეს მამულიშვილური საქმე.

შემდეგ შეკრებილთ მიმართეს კათოლიკოს-პატრიარქმა და თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ.

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი უწმინდესი და უნეტარესი ილია II: მამაულიშვილობაა ის, რომ ჩვენი მორწმუნე ერის წარმომადგენლებმა წმინდა ნინოს გზა თავფარავნიდან მცხეთამდე ლოცვით, ფეხით გამოიარეს: 27 დღეს მოდიოდნენ, ლოცულობდნენ საქართველოსთვის, ქადაგებდნენ. ამ ხნის მანძილზე ათასობით ქართველი მოინათლა და გაგრძელდა ის დიდი საქმე, რომელსაც აკეთებდა წმინდა ნინო, და გვწამს, რომ იგი უხილავად ჩვენთანაა, უხილავად დადის, თავს ევლება თბილისს, მთელ საქართველოს, მის საზღვრებს იცავს თავისი უძლეველი ვაზის ჯვრით. წმინდა ნინოს ლოცვით, მისი ღვაწლით ბევრი ისეთი რამ გაკეთდა, რითაც დღეს ამაყობს ქართველი ერი. ეს ყველაფერი ხომ ქრისტიანულ ნიადაგზეა დაფუძნებული, და მე, უპირველესად ყოვლისა, მინდა დავლოცო ბელისუფლება, რომელმაც ინება წმინდა ნინოს ძეგლის დადგმა, მინდა დავლოცო ბატონი ზურაბ წერეთელი, რომელმაც შექმნა ეს ხატი. ღმერთმა დაგლოცოთ, სასიკეთოდ და საამაყოდ!

მინდა გითხრათ კიდევ ერთი რამ: მიუხედავად მრავალი განსაცდელისა, ქართველი ერი უძლეველია, რადგან ჩვენი მფარველი უფალია, ამიტომ ვერავითარი მტერი ვერას დააკლებს საქართველოს.

თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ირაკლი ანდრიაძე: მიუხედავად იმისა, რომ გული დამძიმებული გვაქვს 9 აპრილით, ჩვენი ერი დღეს გრძნობს შინაგან სულიერ ამაღლებას, აღორძინებას. ეს ქანდაკება, ერთ-ერთი უდამაზესი იქნება ჩვენს დედაქალაქში. ადგილი შეპრჩია კულტურისა და არქიტექტურული ძეგლების საბჭომ და მოიწონა სრულიად საქართველოს საპატიარქომ.

მალე დაიდგმება ეს მონუმენტური ქანდაკება, ზარები შოდანე გვამცნობს დედაქალაქის გამოჩენას, ქალაქის სიცოცხლე ქანდაკება იდგმება იქ, სადაც ეფეთ აღმაშენებლის ხეთანია; ადგილი დიდ დიღომშია ფარნავაზის ზირი, გიორგი ბრწყინვალეს, მიტრი თავდადებულის, პეტრე იბერის, იოანე პეტრიწის, თეიმურაზ პირველის ქუჩები. სულ ერთ ქალაქეთის ტაძრის წინ აღმართული ქეთევან წამებულის ეკლესია დაკეთდა. ეფიქრობ, ეს სულიერი აღორძინების მომასწავებელია. ეს ყველა ქართველის სისხლისმიერი ერი საქმეა. ჩვენი ერი პატიოსანი სცემს რწმენას, წარსულსა და მომავალს.

აკაკი სიხარულიძე.

სურათზე: კომპოზიციისა და წმინდა ნინოს ქანდაკების მაკეტი. საქინფორმის ფოტო.

რედაქტორი
ნ. ჩერქეზიშვილი.

● თანამშრომლობა

„გალფ-ჯორჯია“ — ერთობლივი საწარმო

აგუ.-დაბი. არაბთა გაერთიანებულ საემიროებში შეიქმნა სსრ კავშირთან პირველი ერთობლივი საწარმოსავაჭრო აგროფირმა „გალფ-ჯორჯია“. მისი დაარსების შესახებ ხელშეკრულებას ხელი მოაწერეს არაბთა გაერთიანებული საემიროებია სახელმწიფო უპირატესელო მინისტრმა აჰმედ ბენ სულთან ალ. ყასიმიმ, რომელიც მეთაურობს სავაჭრო კომპანიების „სულთანის“ ჯგუფს, და თბილისის სახელმწიფო საპროექტო ინსტიტუტის დირექტორმა თ. გაფრინდაშვილმა.

ახალი აგროფირმა აწარმოებს და გაასაღებს სოფლის მეურნეობის პროდუქციას, შეასრულებს მიწების მელიორაციის სამუშაოებს და გაარემონტებს სასოფლო-სამეურნეო ტექნიკას. იგი აგრეთვე გაუწევს მომსახურებას ადგილობრივი საწარმოების პროგრესული აგრარული ტექნოლოგიების დანერგვასა და თანამედროვე ტექნიკური აღჭურვაში. ნავარაუდევია, რომ თავისი საქმიანობის დაწყების ეტაპზე „გალფ-ჯორჯია“ აქ ააშენებს ერთი ჰექტარი ფართობის გასაცვებელი სათბურების ბლოკს, გააშენებს 40 ჰექტარ ღია ბოსტნეულის პლანტაციებს. აქ აღებული პირველი მოსავალი შეადგენს დაახლოებით 4.000 ტონა კიტრს, პამიდორს, ლობიოს.

სავაჭრო კომპანიების „სულთანის“ ჯგუფის ხელმძღვანელობის აზრით, საბჭოთა აგროტექნიკური პეკნიერების მაღალი დონე დაეხმარება არაბთა გაერთიანებულ საემიროებს სოფლის მეურნეობის განვითარებასა და კვეყანაში მტკიცე სასურსათო ბაზის შექმნაში.

● ფრ.-ლანკა-ინდოეთი

პრეზიდენტის თხოვნა

დელი. შრი-ლანკის პრეზიდენტმა რ. პრემადასამ ინდოეთის პრემიერ-მინისტრს რაჯივ განდის მიმართა მტკიცე თხოვნით უზრუნველყოს, რომ ინდოეთის ჯარებმა არ განახორციელონ რაიმე შეტევითი ოპერაციები ტამილელთა დაჯგუფების „განთავისუფლების ვეფხვების“ წინააღმდეგ შრილანკის მთავრობასთან ამ ჯგუფის დაზავების შესახებ შეთანხმების მიღწევასთან დაკავშირებით.

ამას იუწყებიან კოლომბოდან ინდოეთის საინფორმაციო სააგენტოთა კორესპონდენტები. განმარტავს რა პრეზიდენტ რ. პრემადასის აღნიშნულ თხოვნას, ინდოეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელმა დელში განაცხადა, რომ ინდოეთის ჯარების შეტევითი ოპერაციების შეწყვეტის საკითხი შეიძლება გადაწყდეს მხოლოდ ინდოეთისა და შრი-ლანკის ურთიერთკონსულტაციების გზით მას შემდეგ, რაც „განთავისუფლების ვეფხვების“ მოიერიშეები დაყრიან იარაღს და შრი-ლანკაში მშვიდობის მხარდამჭერი ინდოეთის ძალები შეასრულებენ თავიანთ ამოცანას ინდოეთ-შრი-ლანკის შეთანხმების შესაბამისად.

შემთხვევა

მოულოდნელი ნადავლი

ლონდონი. ბრიტანეთის თევზსაჭერი გემის „მონადარის“ ბადეში მოულოდნელი ნადავლი აღმოჩნდა. შოტლანდიის არანის კუნძულის მახლობლად მან „დაიჭირა“ სამეფო სამხედრო-საზღვაო ძალების დიზელის წყალქვეშა ნავი. სანამ ზედაპირზე ამოვიდოდა, წყალქვეშა ნავი გემს მიათრევდა, იგი თითქმის 200 მეტრი იძულებული იყო უკანა სვლით ევლო. შემდეგ მოახერხეს ბადის ამოღება.

ინციდენტის შედეგად არავინ არ დაზარალებულა. თუმცა შემთხვევის გარემოებებს ჯერ კიდევ იძიებენ, მაგრამ აღნიშნავენ, რომ უკანასკნელ ხანს ამგვარი საგანგებო შემთხვევები ბრიტანეთის ნაპირებთან მეტად ხშირია.

ფოტოინფორმაცია

● **ბიბანტური** „პაელია“ 4.000 კაცისათვის მოამზადეს მადრიდელმა კულინარებმა ესპანეთის მოედანზე (სურათზე). ამ ეროვნული კერძის მოამზადებას დახეარდა 300 კილოგრამი ბრინჯი, 300 კილოგრამი ქათმის ხორცი, 300 კილოგრამი სხვადასხვა ბოსტნეული, 600 ლიტრი წყალი და 50 ლიტრი ზეითუნის ზეთი.

ეფე-საქდესის ფოტო.

ხელოვნების ჰორიზონტები

კონკურსის მთავარი გმირი

ახლახან ჩვენმა გაზეთმა მკითხველს აუწყა ქართული საგუნდო საშემსრულებლო ხელოვნების დიდი საერთაშორისო აღიარების ამბავი. კერძოდ, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ქ. მარკტობერდორფის კონკურსში გორის სამუსიკო სასწავლებლის გოგონათა გუნდის წარმატების შესახებ.

ქართული საგუნდო საშემსრულებლო ხელოვნების ამ ახალი გამარჯვების, მისი საერთაშორისო აღიარების კანონზომიერებას, ვფიქრობ, ისიც ადასტურებს, რომ დაახლოებით იმავე დროს აფხაზეთის ასსრ პიონერთა და მოსწავლეთა სასახლესთან არსებულმა ბავშვთა საგუნდო კაპელამ ევროპის სხვა კუთხეში, კერძოდ იუგოსლავიის ქ. ცელიეში (სლოვენია) ანალოგიური შედეგით დაამთავრა მონაწილეობა ახალგაზრდულ და მოზარდთა გუნდების საერთაშორისო კონკურსში.

აფხაზეთის ასსრ პიონერთა და მოსწავლეთა სასახლესთან არსებული ბავშვთა საგუნდო კაპელა ათ წელს მოითვლის. დღიდან მისი დაარსებისა, გუნდის ლოტბარობა ითავა თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის საგუნდო-სადირიჟორო კათედრის აღზრდილმა გურამ ყურაშვილმა. გუნდის დაარსებაზე თავის დროზე ერთობლივად იზრუნეს საქართველოს კომპოზიტორთა კავშირმა და აფხაზეთის განათლების სამინისტრომ. კაპელამ მალე მიიპყრო საზოგადოებრიობის ყურადღება, მალე მოიპოვა აღიარება საქართველოშიც და საბჭოეთის სხვადასხვა ქალაქებში: მოსკოვში, კიშინიოვში, რიგაში, ლენინგრადში, ოდესაში, კიევში და სხვაგან. გუნდსა და მის ხელმძღვანელს ხშირად იწვევენ შემოქმედებითი გამოცდილების გასაზიარებლად, ღია გაკვეთილების ჩასატარებლად. სოხუმელი ბავშვების სიმღერა ჩაიწერა და გადაეცა საკავშირო ტელევიზიამ, მრავალი ქალაქის სატელევიზიო პროგრამებმა.

წლევანდელ გამარჯვებას წინ უძღოდა აფხაზეთის საგუნდო კოლექტივის წარმატება ამერიკაკვაკასის მუსიკალურ ფესტივალზე 1983 წელს, მონაწილეობა და სპეციალური ჯილდოების მოპოვება ქ. გორის საგუნდო მუსიკის ფესტივალებზე 1987 და 1988 წლებში. ამ გამარჯვებისკენ მიმავალ გზაზე გამორჩეულად საგულისხმო ბავშვთა საგუნდო კაპელის მიერ მოპოვებული პირველი საერთაშორისო აღიარება 1987 წელს უნგრეთში, საგუნდო საშემსრულებლო მაღალი კულტურის მქონე ქვეყანაში, ქ. კომლოს ზ. კოდაის სახელობის საერთაშორისო ფესტივალზე, სადაც მსოფლიოს მრავალი ქვეყნის წარმომადგენლები ეცილებოდნენ ერთმანეთს პირველობას, სოხუმელ ბავშვთა კაპელა აქ საუკეთესოთა შორის საუკეთესოდ მიიჩნიეს, ლაურეატის სპატიო წოდებასთან ერთად დიდი უნგრელი კომპოზიტორის, ზ. კოდაის სახელობის შედლით დაჯილდოვეს. მომდევნო, 1988 წელს კვლავ უნგრეთში, ამჯერად ქ. დებრეცენის ბ. ბარტოკის სახელობის საერთაშორისო კონკურსზე ჩვენი რესპუბლიკის წარგზავნილებმა მასპინძლებთან პირველი-მეორე ადგილები გიიყვეს და ამით უკან ჩამოიტოვეს მსოფლიოს 64 ქვეყნის საგუნდო კოლექტივები.

და აი, კიდევ ერთი დამჯერებელი შემოქმედებითი გამარჯვება. იუგოსლავიის ქ. ცელიეში გამართულ ახალგაზრდათა და მოზარდთა გუნდების საერთაშორისო კონკურსში მაღალი საშემსრულებლო ტრადიციის მქონე ქვეყნების შემოქმედებითი კოლექტივები აპერრობდნენ — გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის, ბულგარეთის, ჩეხოსლოვაკიის, ბელგიის, საფრანგეთის, დანიის, შვეიცარიის, ფინეთის და ჩვენი კონტინენტის სხვა ქვეყნების წარგზავნილთა ხელოვნებას ეიური 100-ქულიანი სისტემით აფასებდა. პირველი ადგილი ენიჭებოდა კოლექტივს, რომელიც 95 ქულაზე მეტს მოაგროვებდა. ეს ადგილი მხოლოდ და მხოლოდ სოხუმელ ბავშვთა გუნდმა მოიპოვა. გუნდსა და მის ხელმძღვანელს გადაეცათ დიდი ოქროს მედალი და ფულადი პრემია. ბულგარეთის და გერ-ს გუნდებს — მეორე, ხოლო ფინეთისა და ჩეხოსლოვაკიის კოლექტივები — მესამე ადგილით დაკმაყოფილდნენ.

საკონკურსო პროგრამა ითვალისწინებდა იუგოსლაველ კომპოზიტორთა ნაწარმოებების სავალდებულო შესრულებას, ამასთან, ყოველ კოლექტივს ეძლეოდა უფლება 17 წუთი შეევსო საკუთარი არჩევანის თანახმად. ეს საკონკურსო რეგლამენტი გუნდის ხელმძღვანელის არჩევანით თანამედროვე კომპოზიტორებისა. კეკაყაძის, ჯ. ბეგლარიშვილის და ესტონელი ვ. ტორმისის ნაწარმოებებს დეეთმო. სპეციალურ ფოლკლორულ ტურში აფხაზური და ქართული ხალხური მუსიკა აჟღერდა. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ საგუნდო კოლექტივებმა და მისმა შემქმედებელმა მადლობა დაიმსახურეს აგრეთვე იმიტომაც, რომ როგორც იქიური გაზეთები აღნიშნავდნენ: ევროპულ მრავალეროვან მუსიკალურ საზოგადოებრიობას „გააცნეს თანამედროვეობის საუკეთესო კომპოზიტორთა შემოქმედება, მათთვის უცნობ ქართველ კომპოზიტორთა მუსიკა“, „ევროპული მაშტაბის ხელოვანთა ნამოღვაწარი“.

სოხუმელი ბავშვებისა და მათი ლოტბარის ოსტატობის აღიარება ითითაც დასტურდება, რომ მათ ფესტივალზეც დაუდეს ხელშეკრულებები საგასტროლო ტურნეებსა და ცალკეულ კონცერტებზე, მიიწვიეს საერთაშორისო კონკურსებზე საფრანგეთში, იტალიაში, ესპანეთში, ჩეხოსლოვაკიაში...

საგულისხმოა, რომ სხვადასხვა კონკურსების ეიერის წევრები და პრესაც ერთსულოვანნი არიან კოლექტივის ღირსებათა აღიარებაზე, ეს არის ეროვნული ტონაციური სიზუსტე, ბგერის გასაკუთრებული სიფაქიზე, და სიტყვიერ, კაკაძმა გამჭვირვალეა და მასთან შეპირისპირებული სიმკაცრივე, ტემბრული პალიტრის სიუხვე და ნიუანსთა შეჭრილობების დახვეწილი თამაშის უნარი, ფორტეს სიმძლავრე და პიანოს უწონადობა.

სოხუმელ ბავშვთა საგუნდო კაპელა, რაღა თქმა უნდა, დიდი და საშურ საქმეს ეწევა. აქ ინ ვეწევა საგუნდო საშემსრულებლო ხელოვნება, მდიდრდება რეპერტუარი, აქ დღეისადაგ იღვწიან საგუნდო მუსიკირების რთულ პრობლემათა სულ უფრო მაღალი ხარისხით გადაწყვეტისათვის და, როგორც საქმე აჩვენებს, საურველ შედეგსაც იძიან.

ფასეულია ისიც, რომ ეს შესანიშნავი საგუნდო ანსამბლი მსოფლიო ასპარეზზე ღირსეულად იცავს ჩვენი რესპუბლიკის ხელოვნების სახელს, ქართული საკამპოზიტორო სკოლის ღირსებას, მსოფლიოს აცნობს ჩვენი ერის შემოქმედებითს პოტენციას.

რუსუდან ქუთათელაძე.

რედაქტორი
ნ. ჩერქეზიშვილი.

ორშაბათი

3 ივლისი

პირველი პროგრამა. 16.15 — საინფორმაციო გადაცემა. 16.25 — მოსწავლეთა ზაფხულის არდადეგების გამო. სატელევიზიო კინოდარბაზი „ცისკარა“ მხატვრული ფილმი „გოგონა და გრანდი“. 17.55 — ქართული მულტიპლიკაციური ფილმი „სახლობანა“. 18.05 — მოსწავლეთათვის. ჩვენი თვითმოქმედება. 18.35 — კოლექტიური მებაღეობის წევრთა დასახმარებლად — ჩვენი ბაღი. 18.50 — პასუხი ტელემაყურებელთა შეკითხვებზე. 19.25 — დიალოგი პოლიტიკურ თემაზე. 20.00 — მოამბე. 20.35 — მისაღები გამოცდების წინ. 20.55 — კონცერტი. „მღერის ოთხი გია“. 22.00 — „ვრემია“. 22.40 — ერთი მსახიობის თეატრი გ. რჩეულიშვილი „სალამურა“ (კითხულობს მსახიობი მანანა სურმავა). 23.10 — ახალგაზრდობისა და სტუდენტთა XIII მსოფლიო ფესტივალის დღიური (გადაცემა ფხენიანიდან).

მეორე პროგრამა. 9.35 — საფეხბურთო მიმოხილვა. 10.05 — ქართული მხატვრული ფილმი „დიმიტრი II“. პირველი და მეორე სერია. 12.20 — დოკუმენტური ფილმი „ვლადიმერ ვისოცკი — კინომსახიობი“. 12.35 — მხატვრული ფილმი „ჰაერის გამყიდველი“. 15.15 — ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „მერვე საოცრება“.

სამშაბათი

4 ივლისი

პირველი პროგრამა. 13.05 — ნაშუადღევს. 13.55 — აბიტურიენტთათვის. ქიმია. 15.50 — საინფორმაციო გამოშვება. 16.00 — ქართული ენის ტელეკურსი. 16.30 — დიალოგი პოლიტიკურ თემაზე (გამეორება). 17.05 — მოსწავლეთა ზაფხულის არდადეგების გამო. სატელევიზიო კინოდარბაზი „ცისკარა“. მხატვრული ფილმი „უკანასკნელი ორიანი“. 18.10 — მოსწავლეთათვის. „ფანტაზია და მარჯვე ხელები“. 18.45 — „სეირნობა იძულებით“. 19.05 — „მღერის ნუგბარ ერგემლიძე“. 19.45 — ძილისპირული. 20.00 — მოამბე. 20.40 — მისაღები გამოცდების წინ. 21.00 — აქტუალური ეკრანი. საფინანსო მდგომარეობის გაჯანსაღებისათვის. 21.50 — ჩვენი საუკუნე გიცავს უახლესი. 22.00 — „ვრემია“. 22.40 — საფრანგეთის ტელეკომპანია „ანტენ-2-ის“ პროგრამა. 23.15 — ახალგაზრდობისა და სტუდენტთა XIII მსოფლიო ფესტივალის დღიური (გადაცემა ფხენიანიდან).

მეორე პროგრამა. 9.35 — სატელევიზიო მხატვრული ფილმი „დონ სეზარ დე ბაზანი“. I სერია. 10.45 — ფილმ-ბალეტი. „აღმოსავლური თქმულება“. 11.50 — ცენტრალური ტელევიზიის გაცვლითი ფონდიდან. დოკუმენტური ფილმების პროგრამა. 13.05 — ნაშუადღევს. 13.55 — აბიტურიენტთათვის. ქიმია. 14.25 — სატელევიზიო მხატვრული ფილმი „პაკეტი“.

ოთხშაბათი

5 ივლისი

პირველი პროგრამა. 13.05 — ნაშუადღევს. 13.55 — მათემატიკის ტელეკურსი. 15.50 — საინფორმაციო გამოშვება. 16.00 — მოსწავლეთა ზაფხულის არდადეგების გამო. სატელევიზიო კინოდარბაზი „ცისკარა“. მხატვრული ფილმი „ალიყური, რომელიც არ ყოფილა“. 17.25 — „ნატვრის ყვავილის ძებნაში“. ვახტანგ ონიანი (გამეორება). 18.10 — „ჯადოსნური ეკრანი. 18.30 — მოსწავლეთათვის. „ჩვენ და ბუნება“. 19.15 — ქართული დოკუმენტური ფილმი „ეს შიდსია“. 19.25 — „ექო“. 20.00 — მოამბე. 20.30 — მისაღები გამოცდების წინ. 20.50 — ქართული მხატვრული ფილმი „ცისკრის ზარები“. 22.00 — „ვრემია“. 22.40 — „მუსიკოსის გახსენება“. პეტრე ნალბანდიშვილი. 23.25 — ახალგაზრდობისა და სტუდენტთა XIII მსოფლიო ფესტივალის დღიური (გადაცემა ფხენიანიდან).

მეორე პროგრამა. 9.35 — სატელევიზიო მხატვრული ფილმი „დონ სეზარ დე ბაზანი“. I და II სერია. 11.50 — მხატვრული ფილმი „უკანასკნელი ორიანი“. 12.50 — მულტიპლიკაციური ფილმი. 13.00 — ნაშუადღევს. 13.55 — მათემატიკის ტელეკურსი, 14.25 — ცენტრალური ტელევიზიის გაცვლითი ფონდიდან. დოკუმენტური ფილმების პრგრამა.

ხუთშაბათი

6 ივლისი

პირველი პროგრამა. 13.05 — ნაშუადღევს. 13.55 — აბიტურიენტთათვის ბიოლოგია. 15.50 — საინფორმაციო გამოშვება. 16.00 — ტელეკურსელთათვის. საშინაო დავალების ანალიზი ქართულ ენასა და ლიტერატურაში. 16.30 — მოსწავლეთა ზაფხულის არდადეგების გამო. სატელევიზიო კინოდარბაზი „ცისკარა“. მხატვრული ფილმი „ოქროს ჯაჭვი“. 18.00

საქართველოს ტელევიზიის მომავალი კვირის პროგრამა

— მოსწავლეთათვის. „მეგობრობის მატარებელი“. 18.35 — წერილის დღე. 18.45 — განცხადებები. 18.50 — წერილის დღე. 19.00 — „ხალხური ცეკვის ამაგდარი“. ავთანდილ თათარაძე. 19.25 — მისაღები გამოცდების წინ. 19.45 — ძილისპირული. 20.00 — მოამბე. 20.35 — „ფილმის შუქ-ჩრდილი“. ქართული მხატვრული ფილმი „ნეილონის ნაძვის ხე“. 22.00 — „ვრემია“. 22.40 — უკრავს ალექსანდრე კორსანტია. 23.25 — ახალგაზრდობისა და სტუდენტთა XIII მსოფლიო ფესტივალის დღიური (გადაცემა ფხენიანიდან).

მეორე პროგრამა. 9.35 — სატელევიზიო მხატვრული ფილმი „დონ სეზარ დე ბაზანი“. II სერია. 10.40 — მხატვრული ფილმი „გოგონა და გრანდი“. 12.10 — ცენტრალური ტელევიზიის გაცვლითი ფონდიდან. დოკუმენტური ფილმების პროგრამა. 13.05 — ნაშუადღევს. 13.55 — აბიტურიენტთათვის. ბიოლოგია. 14.25 — ქართული სატელევიზიო მხატვრული ფილმი „ბერიკაცები“.

პარასკევი

7 ივლისი

პირველი პროგრამა. 13.05 — ნაშუადღევს. 13.55 — ფიზიკის ტელეკურსი. 15.50 — საინფორმაციო გამოშვება. 16.00 — მოსწავლეთა ზაფხულის არდადეგების გამო. სატელევიზიო კინოდარბაზი „ცისკარა“. მხატვრული ფილმი „ქალაქელი გოგონა“. 17.10 — ქართული დოკუმენტური ფილმი „პოლიკარპე კაკაბაძე“. 17.30 — ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „მოგონება“. 17.45 — მოსწავლეთათვის. „საუკუნეები და თაობები“ (გამეორება). 18.55 — საერთაშორისო კონკურსების ქართველი ლაურეატები. 19.35 — განცხადებები. 19.40 — მისაღები გამოცდების წინ. 20.00 — მოამბე. 20.35 — ქართული მხატვრული ფილმი „რატილი“. 22.00 — „ვრემია“. 22.40 — სპორტული პროგრამა. 24.00 — ხალხური შემოქმედება. კონცერტი. 0.25 — ახალგაზრდობისა და სტუდენტთა XIII მსოფლიო ფესტივალის დღიური (გადაცემა ფხენიანიდან)

მეორე პროგრამა. 9.35 — „კინოპანორამა“. 11.10 — მხატვრული ფილმი „ალიყური, რომელიც არ ყოფილა“. 12.35 — მულტიპლიკაციური ფილმების პროგრამა. 13.05 — ნაშუადღევს. 13.55 — ფიზიკის ტელეკურსი. 14.25 — მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმების პროგრამა.

შაბათი

8 ივლისი

პირველი პროგრამა. 9.40 — ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „რუსთაველის ნაკვალევზე“. 10.30 — „მღერიან ახალგაზრდები“. (გამეორება). 11.05 — გარდაქმნის წახნაგები „მეგობრების ეკრანი“. 12.20 — პოეზიის ხუთი წუთი. 12.25 — ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ყოველ შაბათს“. 12.45 — პოეზიის ხუთი წუთი. 12.50 — კონცერტი „მღერის ჯაზ-ქორალი“. 13.20 — მხატვრული ფილმი „ხუთი საღამო“ (ქართულ ენაზე). 14.55 — პოეზიის ხუთი წუთი. 15.00 — საინფორმაციო გამოშვება. 15.10 — ხალხური შემოქმედება“. „ერთი სიმღერის ფესტივალი“. 15.15 — „სამხრეთის საზღვრების სადარაჯოზე“. სატელევიზიო ჟურნალი საბჭოთა არმიის მეომრებისათვის. 16.00 — პოეზიის ხუთი წუთი. 16.05 — „ჩვენი სოფელი“. 16.50 — ხალხური შემოქმედება. „ერთი სიმღერის ფესტივალი“. 16.55 — ახალგაზრდობისა და სტუდენტთა XIII მსოფლიო ფესტივალის დღიური (გადაცემა ფხენიანიდან). 17.45 — მისაღები გამოცდების წინ. 18.05 — პოეზიის ხუთი წუთი. 18.10 — „ჯანმრთელობა“. სატელევიზიო პროგრამა. 18.25 — მოამბე. 19.